# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 23 მარტი 2006 №64 (2686) ფასი 50 თეთრი

EXCLUSIVE

## მანშაფტური ლანდშაფტი ტირანაში

### ბრიგელმა ტოპმიოლერის გუნდში გერმანული პროცენტები დაინახა







ალბანეთთან მატჩში ლაშა ჯაკობიამ (№10) საქართველოს ნაკრებს პირველად უკაპიტნა

## ხვალინდელ „სარბიელში“

ქობა ინასარიძის ექსკლუზიური ინტერვიუ ანდრეი შევჩენკოსთან



## ნამდვილი ელენე ხვალ და ზეგ

კალგარიში დაწყებული ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ელენე გედევანიშვილსთვის სადებიუტოა. გუშინ 16 წლის ქართველმა მოციგურავემ საკვალიფიკაციო ეტაპზე ისრიალა და B ჯგუფის 22 მონაწილეში მე-9 იყო. ამით ელენემ შემდეგ ეტაპზე გასვლა დაიბევა. ეგაა, როგორც არ უნდა დასრულებულიყო A ჯგუფის დანარჩენი 22-ის შეჯიბრი გამთენიისას, გედევანიშვილი მომდევნო ეტაპს ლიდერთა ექვსეულში ველარ დაიწყებს.

ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიადისგან განსხვავებით, მსოფლიოს ჩემპიონატი კვალიფიკაციით იწყება. 44 მონაწილე იცხრილება და ტურნირს 30 საუკეთესო აგრძელებს. გაგრძელებით კი მსოფლიოს ჩემპიონატი ტრადიციულად, მოკლე პროგრამით გრძელდება და თავისუფალი სრიალით სრულდება. ელენე გედევანიშვილის გუშინდელი საკვალიფიკაციო გამოსვლა მსაჯებმა 82,86 ქულით შეაფასეს, თუმც ეს არაა მთავარი: კვალიფიკაცია მხოლოდ 30 საუკეთესოს შერჩევად იმართება, თორემ მოკლე პროგრამას ყველა თანაბრად, ნული ქულით იწყებს. გედევანიშვილი ლიდერთა ექვსეულში ვერ მოხვდა, მაგრამ წლეულს ევროპის ჩემპიონატიც და ტურინის ოლიმპიადაც ლიდერებისგან დაშორებულმა დაიწყო და მოკლე პროგრამის შემდეგ გვარიანი უპირატესობაც შეიქმნა.

ასე რომ, ნამდვილი ელენე ხვალ და ზეგ გამოჩნდება — ხვალ მოკლე, ზეგ კი მთავარი, თავისუფალი პროგრამის ჯერია.

# კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ფეხზე დაუდგა



*დავით თავართქილაძე*
*ტირანიდან*

კლაუს ტოპმიოლერი სიტყვის კაცი ყოფილა. როგორც წინა დღეს გვითხრა, ეროვნულმა ნაკრებმაც ახალგაზრდულის მსგავსი ტაქტიკური სქემით ითამაშა: მეკარე ლომაიას წინ მარჯვნიდან მარცხნივ ლევან მაღრაძე, გიორგი შაშიაშვილი, მათე ღვინიანიძე და ზაალ ელიავა განლაგდნენ; ნახევარდაცვის სამეული ასეთი იყო: ჯაბა კანკავა, გოგიტა გოგუა, ზურაბ მენთეშაშვილი, მარჯვენა-მარცხენა გარემარბებად კახა ალადაშვილი და ვასილ გიგიაძე თამაშობდნენ, თავდასხმის ცენტრში კი ლაშა ჯაკობია მოქმედებდა, რომელმაც გუშინ კაპიტნის სამკლავური მოირგო.

თამაში ცოტა არეულად დაიწყო, პირველმა წუთებმა გადაიარა და უპირატესობა ქართველებმა მოიპოვეს. ჯაბა კანკავამ შორიდან ორჯერ დაარტყა და ჯერ კარის ჩარჩოს აუცდა, მერე კი მასპინძელთა მეკარე ლიკამ იყოჩაღა. ჩვენებმა კარგად დაიჭირეს ბურთი. გოგიტა გოგუას ნაკუთხურალს ვასილ გიგიაძემ თავური უთავაზა და ააცილა...

შუა ტაიმში კი ლაშა ჯაკობიას სუპერფინტი ვნახეთ, რასაც ალბანელი ქომაგების ტაშიც მოჰყვა. ჯაკობიამ ფინტს მწვავე გადაცემაც მოაყოლა, მაგრამ ბურთს არავინ დახვდა.

მოკლედ, საქართველოს ნაკრებს გუნდურობა ეტყობოდა, მასპინძლები კი დაბნეულები იყვნენ. ძალიან კარგად ერთვებოდა ფლანგიდან შეტევებში ზაალ ელიავა, მისი თითქმის ყველა გარღვევა ხიფათს ქმნიდა.

ჰანს-პეტერ ბრიგელის ბიჭებმა ტაიმის ბოლოს, სამი-ოთხი წუთით შეუტიეს მძლავრად, მაგრამ 42-ე წუთზე იქით გადარჩნენ. ლაშა ჯაკობიამ ცენტრში მოიხელთა ბურთი, ოდნავ მარჯვნივ გადააწოდა კახა ალადაშვილს, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა — ერთი ზუსტი დარტყმა და... მაგრამ ალადაშვილმა ააცილა და ურეალურესი მომენტი გაფუჭდა.

რაც შეეხება ნაადრევ შეცვლას, ზურაბ მენთეშაშვილი ფეხს იტკიებდა და თავად მოითხოვა თამაშიდან გასვლა — მის ნაცვლად გიორგი განუგრავა შევიდა მოედანზე და არცთუ ურიგოდ გაისარჯა.

მეორე ნახევარში კლაუს ტოპმიოლერმა ტაქტიკა გადააწყო: გიგიაძე გამთამაშებლად დააყენა, ალადაშვილი და შეცვლაზე შესული გიორგი ფოფხაძე კი ფლანგელ ნახევარმცველებად გადაიქცნენ.

ისევ ჩვენების უპირატესობაა, ოღონდ მაინც მოხდა დასანანი რამ — გოგიტა გოგუამ 69-ე წუთზე მეორე ყვითელი მიიღო და საქართველო კაცნაკლული დარჩა. სხვათა შორის, გოგუა კარგად თამაშობდა, ეგაა, დაილალა და მერე უმატა უხეშობას. იტალიელმა მსაჯმა მანამდეც დაინდო ჩვენიანი, მაგრამ ბოლოს აღარ აპატია. ისე, საინტერესოა, რატომ არ შეცვალა ტოპმიოლერმა გოგუა ამ გაძევებამდე.

კაცმეტმა ალბანელებმა უმალ შტურმის მოწყობა სცადეს. დუროს ჯარიმიდან დარტყმული გრიგოლ ჭანტურიამ კუთხურზე მოიგერია. ცოტა ხანში ნაკუთხურალ ბურთს ლალამ დაჰკრა და ისევ ჭანტურიამ იმარჯვა. ტოპმიოლერი გოგუას გაძევების შემდეგ ძალიან ნერვიულობდა და სკამზე არც დამჯდარა.

სულ ბოლო წუთზე კი ისევ დუროს გასროლილი აილო ჭანტურიამ და თამაშიც აქ მორჩა.

უნდა ითქვას, რომ ალბანელებმა მხოლოდ 5 წუთი შეუტიეს მძლავრად, თორემ მერე თამაში ისევ გათანაბრდა და ჩვენების კარნახით ჩაიარა.

ნამატჩევს ტოპმიოლერმა და ბრიგელმა ერთმანეთთან საუბრით დატოვეს მინდორი. როგორც შევიტყვეთ, ჰერ კლაუსი საქართველოში არ გამოფრინდება — მან ბრიგელთან მოილაპარაკა და ისინი ლამით ერთად უყურებდნენ გერმანია — აშშ-ის ამხანგურ მატჩს.

...ალბანელებს ძალიან სურდათ მოგება, მათ წინა ამხანაგური მატჩი ლიტვასთან შინ წააგეს და რეაბილიტაცია სურდათ. ტირანაში მყოფი ქართველობა კი კმაყოფილი დარჩა თამაშით — ტოპის გუნდი მართლაც გამართულად ირჯებოდა.



ლევან მაღრაძემ (№16) კლაუს ტოპმიოლერის ნაკრებში პირველად ითამაშა

ტირანა. 22 მარტი. 21 საათი. ქემალ სტაფა. 2 500 მაყურებელი

## ალბანეთი 0:0 საქართველო

| ალბანეთი | საქართველო |
|---|---|
| ლიკა, დალკუ, ტელი (დურო 46), ჯუპი, ვრაპი, ფატი (აგოლი 75), ცური (ქსავა 46), ლალა, შკელა, ბოგდანი (სალიჰი 83), კასტრატი (ბექირი 46) | ლომაია (ჭანტურია 46), მაღრაძე, შაშიაშვილი, ღვინიანიძე, ელიავა, კანკავა (ფოფხაძე 46), გოგუა, მენთეშაშვილი (განუგრავა 30), გიგიაძე, ალადაშვილი (სეთურიძე 88), ჯაკობია |
| *სათადარიგონი:* ჰიდი, კაპლანი | *სათადარიგონი:* გ. ონიანი, ბენაშვილი, ს. იაშვილი |
| მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი | მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი |

გაფრთხილება: გოგუა (32), განუგრავა (54), გოგუა (69)

გაძევება: გოგუა (69)

მსაჯები: პ. დონდარინი; კ. კოპელი, მ. როსი (სამივე იტალია); ა. იანკუ (ალბანეთი)



გიორგი ფოფხაძემ (№4) და მისმა თანაგუნდელებმა ალბანელებს არაფერი დაუთმეს

## პრესკონფერენცია

*ჰანს-პეტერ ბრიგელი:* საქართველოს ნაკრებმა თითქმის ასი პროცენტით შეასრულა დავალება, ჩვენ კი კარგად ვერ ვითამაშეთ. მეორე ნახევარში არა გვიშავდა, მაგრამ საერთო ჯამში უკმაყოფილო ვარ.

*კლაუს ტოპმიოლერი:* კმაყოფილი ვარ, ჩემმა გუნდმა მონდომებით ითამაშა. გრუნტი მძიმე იყო და ამის გამო დაღლა დაგვეტყო. გამოვარჩევ დაცვის ცენტრს, სადაც ღვინიანიძე და შაშიაშვილი თამაშობდნენ.

### ინგლისი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი

ბოსტონი 0:1 ნორთჰემპტონი

ასოციაციის თასი
მეოთხედფინალი

*ჩელსი* 1:0 ნიუკასლი

### შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სელტიკი 2:1 ინვერნესი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ზიგენი 1:3 ფიურტი

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

კობლენცი 1:1 პფულენდორფი

ბაიერნი (მ) : ჰოფენჰაიმი გადაიდო

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ადმირა 0:1 მატერსბურგი

თასის
მერვედფინალი

*ავსტრია* 2:0 ტიროლი

### შვეიცარია

სუპერლიგა. XXV ტური

ბაზელი 1:1 აარაუ

შაფჰაუზენი 1:1 იანგ ბოისი

თუნი 0:1 გრასჰოპერი

ივერდონი 2:1 სენტ გალენი

ციურიხი 4:1 ძსამაძსი

ჩელენჯლიგა. XXIII ტური

ბადენი 0:1 სიონი

ბოლში 2:2 შო დე ფონი

კიასო 2:0 მეირინი

კრიენსი 2:3 ბელინცონა

ლოკარნო 2:0 ვინტერთური

ლუცერნი 2:1 ვილი

ვადუცი 2:1 ლოზანა

ვოლენი 1:0 კონკორდია

იუვენტუსი 0:0 ლუგანო

### იტალია

სერია A
გადადებული მატჩი

კალიარი 0:0 ფიორენტინა

სერია C1/A
გადადებული მატჩი

პავია 0:0 ჯენოა

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები

პალერმო 2:1 რომა

ინტერი 1:0 უდინეზე

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXIX ტური

ბილბაო 1:1 ესპანიოლი

ალავესი 1:0 სელტა

დეპორტივო 2:1 მალაგა

მალიორკა 1:0 კადისი

ოსასუნა 2:0 სოსიედადი

ბეტისი 1:0 რასინგი

ვალენსია 1:1 ვილიარეალი

სარაგოსა 1:1 რეალი

სეგუნდადივიზიონი
გადადებული მატჩი

ნუმანსია 1:0 ერკულესი

### უკრაინა

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები

მეტალურგი (ზ) 2:1 ილიჩევეცი

კარპატი 0:2 დინამო

### პოლონეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

ბელხატოვი 1:1 ლეჩნა

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

ლეხი 0:1 *პლოცკი* (0:0)

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
გადადებული მატჩები

ზლინი : სლავია გადაიდო

ბლშანი 1:0 ბოლესლავი

სიგმა 1:1 პლზენი

### სლოვაკეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

არტმედია 1:0 პუხოვი

### საფრანგეთი

თასის მერვედფინალი

*ლიონი* 1:0 ბასტია

*მარსელი* 2:0 სოშო

კალე 1:0დ.დ.(0:0) ბრესტი

ვიტრი 0:2 *ლილი*

*მონპელიე* 1:0 ბორდო

### ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი

*პსვ* 2:0დ.დ.(0:0) ალკმაარი

*აიაქსი* 4:1დ.დ. (1:1) როდა

### პორტუგალია

თასის ნახევარფინალი

პორტუ — სპორტინგი

*გვიან დამთავრდა*

### საბერძნეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები

აეკ 3:0 აგროტიკოსი

ოლიმპიაკოსი 3:1 ლარისა

### თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

სამსუნი 1:1 *დენიზლი* (0:1)

გალათასარაი 3:2 ფენერბაჩე (1:2)

### რუსეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები

რუბინი 1:1 ცსკა

სატურნი 3:0 დინამო

სპარტაკი 2:2 ლოკომოტივი

ზენიტი 2:0 ტორპედო

### ბელგია

მეორე კლასი
გადადებული მატჩი

რონსე 2:3 ანტვერპენი

### ამხანაგური მატჩი

გერმანია 4:1 აშშ

ალბანელებთან შეხვედრაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში რალფ მინგეს დებიუტი შედგა. გუშინ მას ტირანაში შევეხმიანეთ და განვლილ მატჩთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ...



მურაზ დოლიძეშვილის ფოტო

# გაორებული მინგე

## ზოგიერთებს ალბათ აღარასოდეს გამოვიძახებ

— ახალგაზრდულ ნაკრებს პირველად ვხელმძღვანელობდი და ასეთ დროს ძნელია, ფეხბურთელებისგან რაღაც განსაკუთრებული მოითხოვო. დავმარცხდით და, თუნდაც შედეგიდან გამომდინარე, კმაყოფილების საბაბი არ მაქვს. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ — თითოეულმა ფეხბურთელმა საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინა. ამ ეტაპზე შედეგი მთავარი არ არის და ვფიქრობ, განვლილმა შეხვედრამ თავისი დანიშნულება შეასრულა.

**— საკმარისია თუ არა პირველად ნანახი ფეხბურთელების შესაძლებლობები საიმისოდ, რომ ნაკრებში კვლავაც გამოიძახოთ?**

— ზოგიერთებს ალბათ აღარასოდეს გამოვიძახებთ, თუმცა რამდენიმეს თამაშით კმაყოფილი დავრჩი. გვარს ვერ ვიხსენებ და, ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით მომეწონა. მართალია, შეხვედრის ბოლოს მან სერიოზული ტრავმა მიიღო (ბექა ქლენტი ან გიორგი ნავალოვსკი), თუმცა კმაყოფილი ვარ, რომ გამოვიძახე და გავიცანი.

**— მატჩის შემდეგ მსაჯობა გაგიკრიტიკებიათ...**

— ამ თემაზე საუბრისგან დღეს თავს შევიკავებ და ალბათ აზრიც აღარ აქვს.

**— გამოიკვეთა თუ არა ბირთვი, რომელსაც მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთან ოფიციალურ შეხვედრებში დაეყრდნობით?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ გვარებს ჯერ ვერ დაგისახელებთ. კვირის ბოლოს კიდევ ერთხელ დავსხდებით და თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობებზე ვიმსჯელებთ. ამის შემდეგ შედგება ნაკრებში გამოსაძახებელთა სია, სამი კვირის შემდეგ ხომ პირველი ოფიციალური შეხვედრა გველის.

**ნინო სილაგაძე**

# ცხადია, სიცხადე აჯობებს

## აღმასკომი 7 აპრილს შეიკრიბება



მურაზ დოლიძეშვილის ფოტო

**არაერთხელ** თქმულა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მართვის კოლექტიური ორგანოს ფუნქცია დაკარგა და ნოტარიუსს დაემსგავსა, რომელსაც უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე დასტურის მიცემა უწევს. ამგვარი შეფასების გაქარწყლების კიდევ ერთი შანსი აღმასრულებლებს აპრილის დასაწყისში მიეცემათ. როგორც შევიტყვეთ, აღმასკომის მორიგი სხდომა 7 აპრილს შედგება.

7 აპრილამდე ჯერ ორ კვირაზე მეტია და აღმასკომის წევრებიც მოგვიანებით მიიღებენ ოფიციალურ შეტყობინებებს სხდომის დღის წესრიგთან ერთად, თუმცა ახლავე შეიძლება რამდენიმე საკითხის გამორჩევა, რომლებზე მსჯელობაც, უბრალოდ, აუცილებელი იქნება.

პირველ რიგში ლაპარაკია საქართველოს ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებში დე ფაქტო უკვე განხორციელებულ ცვლილებებზე. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე რალფ მინგეს დებიუტი უკვე შედგა. თავის რიგს ელის ჭაბუკთა (19-წლამდელთა) ნაკრების ახალი თავკაცი ჰაინც ტოპმიოლერიც.

მწვრთნელთა დამტკიცების გარდა, აღმასკომი შეეხება ნაკრებების მზადების გეგმებს, ეროვნულ და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებთან დაკავშირებულ პრობლემებს. სხდომაზე მოისმენენ ფედერაციის პრეზიდენტის ინფორმაციას ფიფაში ვიზიტის თაობაზე. თუმცა, ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, აღმასკომის სხდომის დღის წესრიგი ტრადიციულად ბუნდოვანი იქნება:

1. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კალენდრის განხილვა;
2. სხვადასხვა.

ეს ჯერ მხოლოდ პროექტია და კარგი იქნება, თუ დღის წესრიგი მეტად დაკონკრეტდება. ასეთ შემთხვევაში აღმასკომის წევრებს აღარ მოუწევთ თავის მართლება, რომ სხდომაზე გატანილ საკითხებს მოუმზადებელნი შეხვდნენ.

**გიორგი ნოზაძე**

# ზღვისპირელ ჯიქიას კურორტი სწყენდა

**რევაზ ჯიქიასთვის მიმდინარე სეზონი უცნაურად მიდის. არა, ახლა ყველაფერი კარგადაა, „ბათუმი“ მძლავრად თამაშობს და ჯიქიაც გოლებს ეჩვევა, მაგრამ პირველი წრე მას მთლიანად ჩაუვარდა — „ბორჯომში“ უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა.**

**გეცოდინებათ, 25 წლის ჯიქია რუსეთის მოქალაქეა, იქაურ მეორე დივიზიონში თამაშობდა, როცა შარშან იმხანად ქუთაისის „ტორპედოს“ და ამჟამად „ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ საქართველოში ჩამოიყვანა...**

**— მეორე წრეში გოლები საკმაოდ ხშირად გაგაქვს, მანამდე „ბორჯომში“ რატომ არ ჩანდი?**

— რა გითხრათ, ალბათ, „ბორჯომში“ მწვრთნელს ვერ გავუგე. რაღაცნაირად გუნდს ვერ შევეწყვე. რაც მთავარია, ახლა არაფერს ვუჩივი და ნორმალურ ფორმაში ვარ.

**— ოთარ გაბელიას ფაქტორმა იმოქმედა?**

— დიახ. ის პირველი მწვრთნელია, ვინც რუსეთიდან ჩამომიყვანა, მუდმივად მათამაშებდა და რჩევებს არ მაკლებდა. „ტორპედოშიც“ გამომდიოდა თამაში და ახლა „ბათუმშიც“ კარგად ვგრძნობ თავს.

**— „ბათუმში“ ყველაზე კარგად რომელ პარტნიორს უგებ?**

— არ მინდა გამორჩევა, რადგან მთლიანობაში კარგი გუნდი ვართ. „ბათუმი“ ერთ ფეხბურთელზე არაა აწყობილი. აგერ, გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძე საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს, სხვებიც კარგი ბიჭები არიან. ვფიქრობ, ასეთი გუნდი რომ ყოფილიყო „ბათუმი“ პირველ წრეში, დღეს ლიდერთა შორის ვიქნებოდით. ახლა კი ამასღა ვიტყვი: რაც შეიძლება, მაღალი ადგილი უნდა დავიკავოთ. სამწუხაროდ, ბოლნისში თითქმის მოგებული თამაში ფრედ დავასრულეთ, მეორე წრეში მხოლოდ მათთან გაგვიჭირდა, თორემ დანარჩენი მეტოქეები სუსტები იყვნენ.

**— ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ვის თვლი?**

— „დინამოსთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ ჯერ არ გვითამაშია, მაგრამ ისინი ნაღდად იბრძოლებენ ჩემპიონობისთვის. ასევე „სიონი“, „ზესტაფონი“ და “ამერი“.

**— სხვა ქართული კლუბებიდან რომელ თავდამსხმელებს გამოარჩევ?**

— თითქმის ერთი დონეა. კონკრეტულად ერთზე ვერ იტყვი, აი, რა მაგარი ფორვარდიაო. არიან კარგი თავდამსხმელები, მაგრამ გამორჩევა მიძნელდება.

**— პირადად შენს ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას გვეტყვი?**

— ნაკლი ისაა, რომ მარცხენა ფეხით ისე ვერ ვთამაშობ, როგორც მარჯვენათი. მთავარი კოზირი კი, ალბათ, თავით თამაშია. რაც უნდა იყოს, ბოლო ოთხ შეხვედრაში ოთხი გოლიდან სამი თავით გავიტანე.

**— როგორც ვიცით, შენი მშობლები კვლავ რუსეთში ცხოვრობენ. მარტოობა ძნელი იქნება...**

— ასეა. მამა კი ჩამოდის ხოლმე, მაგრამ...

**— სეზონის ბოლოს რას აპირებ, „ბათუმში“ დარჩები?**

— არ გამოვრიცხავ, რომ დავრჩე. აი, თუ რუსეთიდან ნორმალური წინადადება მექნება, წავალ.

**— რუსეთის პირველი დივიზიონი და აქაური უმაღლესი ლიგა რომ შევადაროთ, დიდი განსხვავებაა დონით?**

— ულაპარაკოდ. რუსეთის პირველ დივიზიონში გუნდები უფრო კარგადაა დაკომპლექტებული, მინდვრების მხრივაც შედარება არ არის.

**ილია ნანობაშვილი**



ბექა კაპანაძის ფოტო

*ბევრი იფიქრა თუ ცოტა, თბილისის მერია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხას ბიუჯეტში ვერ მოიძიებდა და გამოსავალიც მოძებნა.*

*მერია ეროვნული სტადიონის აქციათა საკონტროლო პაკეტის კერძო ინვესტორისთვის მართვის უფლებით გადაცემას გეგმავს. შეთანხმება 25 წელზე იქნება გათვლილი, პოტენციურმა ინვესტორმა კი უმთავრესი პირობა უნდა დააკმაყოფილოს და ხუთი თვის განმავლობაში 10 მილიონი დოლარი დაახარჯოს სტადიონის ევროპულ სტანდარტებამდე მიყვანას...*

# საშველი თუ უსაშველო?

## მერიამ მილიონები მოიძია

ათი მილიონი დოლარი დიდი თანხაა, ხუთი თვე კი მცირე ვადა. თუნდაც გამოჩნდეს ინვესტორი, რომელიც ამ თანხის დახარჯვას დაყაბულდება, ხუთ თვეში სერიოზული მოცულობის სამუშაოების დასრულება მაინც ძალიან ძნელი იქნება. თუმცა ეს არ არის ერთადერთი პრობლემა, რამაც კონკურსში მონაწილეობის მსურველები შეიძლება დააფრთხოს. თითქოს ყურადღებით ვადევნებთ თვალს სტადიონის პრობლემას, მაგრამ ნამდვილად არ გაგვაჩნია ინფორმაცია, რომ ვინმემ „ბორის პაიჭაძეზე“ შესაბამისი გათვლები ჩაატარა და დაადგინა, რომ რეკონსტრუქცია-რემონტისთვის მაინცდამაინც ათი მილიონი დოლარია საჭირო. იქნებ 5 ან 7 მილიონიც კმარა? და თუ ამგვარი სამუშაოები ჩატარდა, რატომ არის ჩვენში მოდად ქცეული ყველაფრის გასაიდუმლოება? — გაცილებით ადვილია „უემბლიზე“ რეკონსტრუქციის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა.

თუმცა გარკვეული ინფორმაციის მოძიება მაინც შევძელით. პირველ რიგში ბუდაპეშტში უეფას კონგრესზე მყოფ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დავუკავშირდით. ფედერაცია ყოველთვის გამოთქვამდა სურვილს და მზადყოფნას, წილობრივი მონაწილეობა მიეღო სტადიონის რეკონსტრუქციაში, მაგრამ...

*უჩა უგულავა:* „ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ, რა თქმა უნდა, გაგვაჩნია. საუბარია ძალიან დიდ თანხაზე, რომელიც ფეხბურთის ფედერაციას არ აქვს. შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობას ვერ მივიღებთ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი, ქართული ფეხბურთის ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. სტადიონის საკონტროლო პაკეტის მფლობელის და პოტენციური ინვესტორის მიმართ ერთადერთი თხოვნა გვაქვს: როგორმე მოესწროს 2 სექტემბრამდე სამუშაოთა დასრულება, რათა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საქართველოს ნაკრებმა სწორედ ეროვნულ სტადიონზე დაიწყოს.“

ვინ შეიძლება იყოს პოტენციური ინვესტორი? თბილისის მერიას დიდი არჩევანი ალბათ არც ექნება. ყველაზე რეალურ და თითქმის ერთადერთ ვარიანტად სპორტსაზოგადოება „დინამო“ სახელდება. გოჩა ძასოხოვი მზად არის, სერიოზული ინვესტიცია ჩადოს სტადიონის რეკონსტრუქციაში, თუკი ეს ყველაფერი წილობრივ მონაცემებზე აისახება და სპორტსაზოგადოებას აქციათა გარკვეული ოდენობა კიდევ გადაეცემა. მაგრამ ათი მილიონი?

*ირაკლი მეძმარიაშვილი* (სპორტსაზოგადოება „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი): „ჯერჯერობით გამიჭირდება რაიმე კონკრეტულის თქმა. კი ბატონო, ადრევე გამოვთქვით მზადყოფნა, მონაწილეობა მიგვეღო ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის მართლაც საქვეყნო საქმეში, მაგრამ ძალიან დიდ თანხაზეა საუბარი. კიდევ სამი-ოთხი დღე იქნება საჭირო, რომ გარკვეული საკითხები დაზუსტდეს და მერე უფრო თამამად და კომპეტენტურად შეგვეძლება ამ თემაზე ლაპარაკი.“

თბილისის მერიაში იმის გარდა, რომ რამდენიმე დღეში კონკურსის პირობები ოფიციალურად გაცხადდება, ახალს ვერაფერს გვეუბნებიან. ვცადეთ, დამატებითი ინფორმაცია სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელისგან მიგვეღო. როგორც აღმოჩნდა, ბატონი ავთო ანთიძე ჯარშია გაწვეული და ამჟამად ოსიაურში რეზერვისტთა ბატალიონში იმყოფება.

სადაც რამდენიმე თვე, რამდენიმე დღესაც მოიცდის კაცი. ამასობაში კი, სავარაუდოდ, მერია საკონკურსო პირობებს შეამსუბუქებს და სპორტსაზოგადოება „დინამოსთან“ საერთო ენას გამონახავს. სამუშაოების დაწყება მართლაც საშურია. 2 სექტემბრამდე ხუთი თვე კი დარჩა, მაგრამ მშენებლების განკარგულებაში ამდენი დროც ვერ იქნება, უეფას კომისიამ ხომ სტადიონი ზაფხულშივე უნდა შეამოწმოს და იქ თამაშის ნება დაგვრთოს.

ბოლოს და ბოლოს, სად ვუმასპინძლებთ საფრანგეთის ნაკრებს?!

**გიორგი ნოზაძე**




# დავით ხმელიძე ნისტრუს ესტუმრა



**გახსოვთ** დავით ხმელიძე? რუსეთში გაზრდილ ქართველ მეკარეს ძალიან კარგი მონაცემები ჰქონდა და შესაბამის კარიერასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველა ტალანტი რომ იფურჩქნებოდეს, ასე სად არის...

ხმელიძე ბოლოს რუსეთის პირველდივიზიონელ ჩელიაბინსკის „სპარტაკში“ ირიცხებოდა, თუმცა ტრავმებმა ძალიან გააწამა. ახლა კი ის მოლდოვურ „ნისტრუში“ გადავიდა — ხმელიძემ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს კლუბთან, რომელიც ქვეყნის რვაგუნდა ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა.

აქვე გეტყვით, რომ 26 წლის, 197 სანტიმეტრი სიმაღლის ხმელიძეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ერთი მატჩი ჩაუტარებია, ახალგაზრდულში კი სამჯერ უთამაშია. ჩელიაბინსკის „სპარტაკამდე“ იგი როსტოვის „როსტსელმაშსა“ და სოჭის „ჟემჩუჟინაშიც“ იყო.

**ილია ნანობაშვილი**

# გოგინაშვილი დინამოშია

## სამწლიანი შერიფი და ზავი ბრესტთან



**მოლდოვის** „შერიფის“ ქართველმა ნახევარმცველმა რომან გოგინაშვილმა ბელარუსში გადაინაცვლა და იქაურ ბრესტის „დინამოში“ ვარჯიშობს. 22 წლის ფეხბურთელმა სამი წელი გაატარა „შერიფში“, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და წასვლა ამჯობინა.

ამგვარად, მოლდოვის მრავალგზის ჩემპიონს ერთადერთი ქართველი ვაჟა თარხნიშვილი შერჩა. გეცოდინებათ, გოგინაშვილამდე „შერიფს“ მურთაზ ბურნაძეც დაშორდა, ვინც გორის „დილაში“ აპირებს სეზონის ჩამთავრებას.

შეგახსენებთ, რომ გოგინაშვილი უცხოეთში წასვლამდე „დილაში“ და თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა.

**კახა შალამბერიძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# კაცს დალევა არ შეეძლოს და მაინც სვამდეს...

## რიკუნს ლოთობა გაუძვირდა



**აი, ამბავი**: მსოფლიოს ჩემპიონატამდე სამი თვით ადრე ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ნაკრებიდან გააგდეს. ეს ამბავი არამც და არამც არ მომხდარა ინგლისში. ეს მოხდა უკრაინაში, ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს მეტოქის ბანაკში. დასჯილი ალექსანდრ რიკუნია, 2004 წლის უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, ვისაც ნაკრების გარდა კლუბმაც, დნიპროპეტროვსკის „დნიპრომაც“ გაუწყვიტა კონტრაქტი.

— თურქული შეკრებიდან დაბრუნების მერე რიკუნი ვარჯიშებზე არ გამოცხადებულა. გაირკვა, რომ მიზეზი ლოთობაა. ასეთი ფეხბურთელი მე არ მჭირდება — განაცხადა „დნიპროს“ თავკაცმა ოლეგ პროტასოვმა.

ერთი სიტყვით, უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ჰაერში გამოეკიდა. ნაკრების მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი კი უკვე მისი შემცვლელის ძიებაშია.

**კახა შალამბერიძე**

# თანხაც მრგვალი, გოგოც მრგვალი

## რუნის მიჯნური ფულს გირვანქობით ხარჯავს



**ნორჩი** კოლინ მაკლაფლინი აქამდე იმით იყო ცნობილი, რომ თავისი ბავშვობის მიჯნურისა და მომავალი ქმრის, უეინ რუნის ფულების ფანტვა ეხერხებოდა. ვითარცა ვუნდერკინდის გოგო, ისე გაეჩვია გაზეთების ფურცლებსაც. ახლა კი იგივ გაზეთები წერენ, რომ ეს ხორციანი წყვილი ბექემიანთ გზას ადგას ფულის კეთების საქმეში. რა თქმა უნდა, ჯერ მასშტაბი ის არ არის, მაგრამ გზას სწორად მიუყვებიან. მის მაკლაფლინი მხოლოდ ცხრამეტი წლისაა და უკვე თავადაც დაიწყო ფულის შოვნა.

წინა კვირაში მან მილიონნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა „ნაიკთან“ და ამდენივეს გადაუხდის „ასა“-ც, სარეკლამო კომპანია, რომელსაც უკვე რუნიცა ჰყავს დაბევებული და რომელსაც კოლინის იერი, ვითარცა მომავალი მისის რუნისა, დიდად ულირს.

გარდა ამისა, კოლინმა გამომცემლობა „არპერ-კოლინზთან“ ორმილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა, რათა საზოგადოებას თავისი წიგნი აჩუქოს. რა თქმა უნდა, წიგნში ძირითადად უეინის შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი. უფრო სწორად, მათი წყვილის შესახებ. ამას დაუმატეთ, რომ წელიწადში 70 ათასს ერთ-ერთი ჟურნალი უხდის სტატიებში, 150 ათასი, რომელიც მასზე შექმნილ ტელეფილმში მიიღო და იქაც ერთი პატარა 10 ათასი, სამიოდ გაცინებულ ფოტოში რომ გადაუხადეს.

მოკლედ, გოგო დიდ გზას ადგას. აქამდე კი ხუმრობდნენ, ის უფრო სწრაფად ხარჯავს ფულს, ვიდრე უეინი შოულობსო.

ცნობილია, რომ შარშან კოლინმა 16 ათასი გირვანქა დახარჯა ხელჩანთებში, 6 ათასი თმის ვარცხნაში და 50 ათასი აგარაკ-ზღვისპირეთში.

მას 25-ათასიანი „ტიფანის“ ბეჭედი უკეთია თითზე, მაჯას 35 ათასიანი „როლექსი“ უმშვენებს და ბედნიერებისგან მეცხრე ცაზეა, როცა მშობლიური ლივერპულის ბუტიკებს ჩამოუვლის ხოლმე.

„ნაიკთან“ დადებული კონტრაქტი კი მართლაც სერიოზულია. ფირმა აპირებს, რომ საგანგებო, მისი იერის გოგოებისთვის მოსახდენი სამოსი გამოუშვას და მას „ნაიკ-C“ უწოდოს. ასეთივე კონტრაქტი „ნაიკთან“ უეინსაც აქვს, მაგრამ ის სამმილიონიანია.

საკუთრივ მის მაკლაფლინის სპორტულობა კი, რა თქმა უნდა, საეჭვოა. კაი ჩამრგვალებული და მაკდონალდსში ნაძლომი გოგონა გახლავთ. ამიტომ, სანაიკოდ მკაცრ დიეტაზე შეჯდა და ფიტნესის რკინებთან ურთიერთობას მოუხშირა. ამან ცოტათი უშველა და თავის ფიტნეს-დივიდიც გამოუშვა, რომელშიაც ბარე 250 ათასი გადაუხადეს. მოკლედ, გოგომაც ფულის ჭრა დაიწყო.

ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის გოგოსთვის, რომელიც სახელმწიფო სახლში გაიზარდა, ლივერპულის გარეუბან გროქსტესში და სანამ სკოლას დაამთავრებდა, მაღაზიაში ხელის გოგოდ წვალობდა და საათში სამნახევარი გირვანქა ეძლეოდა.

ვისაც არ გაუხარდეს, რა უნდა ვუთხრათ, მაგრამ წიგნი მაინც ნამეტანია.

**ირაკლი ბამყრელიძე**

*ლონდონიდან*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრონძეტიმ ანრი ბარსას შეუერთა

**ფრანგი** ფორვარდი ტიერი ანრი და კატალონიური „ბარსელონა“ ერთმანეთს კიდევ ერთხელ დაუკავშირდნენ, ამჯერად, ფიფას ცნობილი აგენტის, იტალიელი ერნესტო ბრონძეტის წყალობით. იგი სატრანსფერო საქმეში ერთ-ერთი ყველაზე გაქნილია. მადრიდის „რეალს“ ტრანსფერების უმეტეობის განხორციელებაში სწორედ ბრონძეტი ეხმარება, რომელმაც მილანის „ინტერს“ უთხრა, დაივიწყოს ანრი და მაღალი კლასის თავდამსხმელი სხვაგან ეძებოს, რადგანაც „არსენალის“ ლიდერი ზაფხულში „ბარსაში“ გადავა.

„ანრი ბრწყინვალე ფორვარდია და ლოგიკურია, მასზე ევროპული გრანდები რომ ნადირობენ. თუმცა, ჩემი აზრით, დიდი შანსია, იგი „ბარსელონაში“ გადავიდეს. კატალონიელებს მისი ყიდვა ძალიან უნდათ და ეტოოს შემცვლელად ესახებათ“ — აღნიშნა ბრონძეტიმ.

რაც შეეხება ეტოოს შეცვლას, „ჩელსიში“ მისი გადასვლის შესახებაც ბრონძეტიმ ილაპარაკა. ლონდონელებს კამერუნელი ფორვარდი უნდათ და გამორიცხული არაა „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლა თავად ეტოომაც ისურვოს. „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა და კატალონიელები კი ყველანაირად ეცდებიან, მათთვის სასურველი ანრი ჩაიგდონ ხელში.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბალაკმა პრემიერლიგას თითი დაადო



**მიხაელ ბალაკის** „ჩელსიში“ გადასვლა სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. 29 წლის გერმანელს ინგლისური გრანდებისა გარდა, ესპანური და იტალიური ბობოლა კლუბებიც უტრიალებენ, მაგრამ თავად ნახევარმცველმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრემიერლიგა ყველაზე მეტად ხიბლავს და კარიერის იქ გაგრძელებაზე ფიქრობს.

„მე პრიმერადივიზიონს პრემიერლიგა მირჩევნია. ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი მოთამაშე ვარ და ინგლისური ორთაბრძოლებიც მხიბლავს. ფეხბურთელებს, რომლებიც იქ „ვარსკვლავებად“ იქცნენ, მაგალითად პატრიკ ვიეირასა და როი კინს, ჩემ თავს ძალიან ვამსგავსებ“ — განაცხადა ბალაკმა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „ჩელსის“ პორტუგალიელმა თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ აღნიშნა, რომ ბალაკის შეძენა ძალიან უნდა და ლამპარდ-ბალაკის წყვილზე ოცნებობს. მისი აზრით, ეს ევროპაში ნახევარდაცვის უძლიერესი წყვილი იქნება.

აქედან გამომდინარე, ბალაკი ცალი ფეხით „ჩელსიში“ გადასულად შეიძლება ჩავთვალოთ. მან იანვარში „ბაიერნს“ ახალ, ოთხწლიან კონტრაქტზე უთხრა უარი და ეჭვი თითქმის აღარავის ეპარება, რომ სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს გუნდს. მიუნხენელები კი უკვე ბალაკის შემცვლელზე ფიქრობენ და ერთ-ერთ კანდიდატად „ბარსელონას“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი შეუგულებიათ.

**კოკი კანდელაკი**



# ტრიგორიაზე უყავარჯნოდ თუ არ გაიარე...

**დაახლოებით** ერთი თვის წინ ფრანჩესკო ტოტის ემპოლელი რიკარდ ვანილი ისე ეუხეშა, რომ „რომას“ კაპიტანს მუნდიალის გამოტოვებასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ. იგი ცოტა მიავიწყდათ და აი, მან თავი შეგვახსენა. ტოტიმ უკვე უყავარჯნოდ გაიარა.

„ძალიან სასიამოვნო და ამავე დროს მოულოდნელი იყო მინდორზე მისი უყავარჯნოდ ხილვა. ფრანჩესკო თუ ასე მოკლე დროში შეძლებდა გავლას, არ გვეგონა, გამორიცხული არ არის, მაისის დასაწყისში ბურთიც გააგოროს“ — თქვა „რომას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

გასულ შაბათს ტოტიმ კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა. სამშაბათს კი იგი უკვე „ტრიგორიაზე“, „რომას“ საწვრთნელ ბაზაზე დააბიჯებდა. „გლადიატორთა“ ექიმები იმაზეც ალაპარაკდნენ, ეგებ ტოტიმ სერია A-ს დასრულებამდე კიდევ მოასწროს თამაშიო. ასე რომ, „სკუადრა ამურას“ მეათე ნომერს მუნდიალის გამოტოვება ალბათ აღარ ემუქრება.

ლუჩანო სპალეტი: „ყველანი შემოვეხვიეთ და ვუყურებდით, როგორ დადიოდა. ფრანჩესკო ძალიან ოპტიმისტურად იყო განწყობილი და საკუთარი თავის რწმენა არ დაუკარგავს. სწორედ ამის წყალობით შეძლო მან ტრავმასთან გამკლავება. ახლა ყველანი ველოდებით, როდის დაიწყებს თამაშს და გვჯერა, რომ ეს სერია A-ს დამთავრებამდეც შესაძლებელია“.

დაბოლოს, „რომას“ ბანაკში კიდევ ერთი, არანაკლებ სასიხარულო ამბავია. დედაქალაქელებმა ტელეკომპანია „მედიასეტთან“ გააფორმეს ორწლიანი კონტრაქტი. გუნდი ორ სეზონში 45 მილიონ გირვანქას მიიღებს.

**გიორგი ძაძაბაძე**



# მსოფლიოს თასი



## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

**A ჯგუფი**

**გერმანია, ეკვადორი, პოლონეთი, კოსტა რიკა**

# არავინ იცის, ეს როგორ ხდება

**ვინ წარმოიდგენდა** ინგლისთან ბოლო შესარჩევი მატჩის წინ, რომ პოლონეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდებოდა? მაგრამ ფაქტია, მოხვდა. ევროპის საკვალიფიკაციო ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდებიდან ორი, პოლონეთი და შვედეთი გავიდნენ პირდაპირ, პლეი ოფის გარეშე. პოლონელებმა პაველ იანაშის ხელმძღვანელობით ინგლისთან ორივე მატჩი წააგეს, მაგრამ დანარჩენი რვა... მოიგეს.

„ისტორიაში ახალი დიდი ფურცელი უნდა ჩავწეროთ" — თქვა პოლონეთის ნაკრებისა და „ლივერპულის" მეკარემ ირჟი დუდეკმა.

ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი იქნება თავდამსხმელების, მაცეი ჟურავსკისა და ტომაშ ფრანკოვსკის წყვილი, რომელმაც შესარჩევი ეტაპის 27 გოლიდან 14 გაიტანა. ხოლო თუ საერთო სურათსა და განწყობაზე ვილაპარაკებთ, ევროპელ მიმომხილველთა საყოველთაო აზრით, პოლონეთის ნაკრების ძალის გათვალისწინება და პლუს-მინუსების ფრთხილი და აწონილი შესწავლა ყველასთვის ფრიად საჭირო საქმე იქნება.

* * *

*მწვრთნელი:* 1953 წლის 4 მარტს დაბადებულმა პაველ იანაშმა პოლონეთის ნაკრები პირველად 2003 წლის 12 თებერვალს ხორვატებთან 0:0 ათამაშა. ფეხბურთელობისას ჯერ მშობლიური პაბიანიცეს „ვლოკნიარცში" თამაშობდა, შემდეგ კი ლოძის „ვიძევში" გადავიდა, სადაც 1977 წლამდე დაჰყო. 1978-82 და 1986-88 წლებში ვარშავის „ლეგიაში" გამოდიოდა, შუალედში, 1982-1986-წლებში კი ფრანგული „ოსერის" ღირსებას იცავდა.

პოლონეთის ნაკრებში მის დღევანდელ მწვრთნელს 53-ჯერ უთამაშია და 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოუპოვებია. იმ მუნდიალზე ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა.

მწვრთნელობა პაველ იანაშმა 1988 წელს „ლეგიაში" დაიწყო, რომელიც მოგვიანებით ორჯერ ჩემპიონი გახადა და ერთხელ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა. ხანგამოშვებით იყო ქვეყნის ახალგაზრდული და ოლიმპიური ნაკრებების მწვრთნელის ასისტენტი. 2002 წლის ბოლოდან ნაკრების მწვრთნელია და ქომაგებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.



ტომაშ კლოსი

* * *

*კაპიტანი:* ტომაშ კლოსი მცველია, მაგრამ მის თამაშს მთელ გუნდზე აქვს გავლენა. დღეს გამოცდილი კლოსი კრაკოვის „ვისლაშია", მაგრამ მოვლილი აქვს ისეთი ევროპული გუნდები, როგორებიც არიან „ოსერი", „კაიზერსლაუტერნი" და „კიოლნი". ითამაშა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

* * *

პოლონეთი მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორჯერ გავიდა მესამე ადგილზე, 1974 და 1982 წლებში, თუმცა ბოლოხანს ცუდი პერიოდი ედგა — 1986 წლის შემდეგ 2002 წლამდე მუნდიალზე არ ყოფილა. ყველაზე შთამბეჭდავი იყო 1974 წელი, როდესაც პოლონელებმა მოუგეს არგენტინას, იტალიას, შვედეთს და იუგოსლავიას, მესამე ადგილისთვის კი გჟეგოჟ ლატოს გოლით ბრაზილიას სძლიეს 1:0. ყველაზე ცუდი კამპანია ბოლოს, 2002 წელს ჰქონდათ.



გჟეგოჟ ლატო

* * *

*ლეგენდა:* 1950 წლის 8 აპრილს დაბადებულმა გჟეგოჟ ლატომ პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში 95 თამაში ჩაატარა და 42 გოლი გაიტანა. ამ გოლებიდან შვიდი დიდმა ფორვარდმა 1974 წლის მუნდიალზე შეაგდო და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გჟეგოჟ ლატო გახლავთ 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და 1976 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი. საკლუბო კარიერა თითქმის მთლიანად „სტალ მიელეცში" გაატარა, თუმცა ბოლოს, ჯერ ბელგიურ „ლოკერენში", შემდეგ კი მექსიკურ „ატლანტეში" მოსინჯა ძალა. დღეს ლატო პოლონეთის პარლამენტის წევრია.

* * *

*დღევანდელი ვარსკვლავი:* ასეთად შეიძლება ბომბარდირი ტომაშ ფრანკოვსკი მივიჩნიოთ, რომელსაც ჟურნალისტებმა ფილმ „აჩრდილებზე მონადირეების" ანალოგიით „გოლებზე მონადირე" შეარქვეს, ოღონდ ეს უფრო გასაგები ინგლისურადაა, რადგან ინგლისურად აჩრდილი არის „გოსტ" და ჰგავს სიტყვას „გოლ".

ფრანკოვსი 1974 წელს არის დაბადებული და ინგლისურ „ვულვერჰემპტონში" თამაშობს. პოლონეთის ნაკრებში 17 შეხვედრაში 10 გოლი აქვს გატანილი. ის გახლავთ პოლონეთის ხუთგზის ჩემპიონი და სამგზის ბომბარდირი.



ტომაშ ფრანკოვსკი

* * *

\+ პოლონეთის ნაკრების დადებითი მხარე უხვგოლიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ გუნდში ლატოს დონის ფორვარდი არ თამაშობს, ის გოლების რაოდენობით ევროპაში მაინც მეოთხეა.

* * *

— მოედნის მეორე ბოლოს კი პოლონეთს უჭირს. ხშირია უხეში შეცდომის გამო გაშვებული გოლები.

* * *

პოლონელმა ერნსტ ვილიმოვსკიმ 1938 წელს ბრაზილიას ოთხი გოლი გაუტანა, მაგრამ მაინც დამარცხებული დარჩა, რადგან ის შეხვედრა სამხრეთამერიკელებმა 6:5 მოიგეს.

* * *

**აზრი:** იანაშმა თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე პოლონეთის ნაკრების მიზანი ჯგუფიდან გასვლაა. თუ ჩვენ ამას მართლა შევძლებთ, პროგრესი გვექნება, თუ არა და, კვლავ ჩავარდნის მოწმეები გავხდებითო. დღევანდელ ნაკრებში ვარსკვლავები არ არიან, მაგრამ მწვრთნელი ფეხბურთელებისგან მაქსიმუმს წურავს. არავინ იცის, როგორ ხდება ეს, მაგრამ ასეა — ამბობს „გაზეტა ვიბორჩას" მიმომხილველი რობერტ ბლონსკი.



ერნსტ ვილიმოვსკი

### პოლონეთის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 9 ივნისი | პოლონეთი — ეკვადორი | გელზენკირხენი |
| 14 ივნისი | გერმანია — პოლონეთი | დორტმუნდი |
| 20 ივნისი | კოსტა რიკა — პოლონეთი | ჰანოვერი |

### პოლონეთის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 04.09.2004 | ჩრდ. ირლანდია — პოლონეთი | 0:3 |
| 08.09.2004 | პოლონეთი — ინგლისი | 1:2 |
| 09.10.2004 | ავსტრია — პოლონეთი | 1:3 |
| 13.10.2004 | უელსი — პოლონეთი | 2:3 |
| 26.03.2005 | პოლონეთი — აზერბაიჯანი | 8:0 |
| 30.03.2005 | პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია | 1:0 |
| 04.06.2005 | აზერბაიჯანი — პოლონეთი | 0:3 |
| 03.09.2005 | პოლონეთი — ავსტრია | 3:2 |
| 07.09.2005 | პოლონეთი — უელსი | 1:0 |
| 12.10.2005 | ინგლისი — პოლონეთი | 2:1 |

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 10 | 8 | 1 | 1 | 17:5 | 25 |
| პოლონეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 27:9 | 24 |
| ავსტრია | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 2 | 3 | 5 | 10:18 | 9 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| აზერბაიჯანი | 10 | 0 | 3 | 7 | 1:21 | 3 |

# იანაშის პასუხი: შემდეგი კითხვა



*პოლონეთის ნაკრების მწვრთნელ პაველ იანაშს ეს ინტერვიუ „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტმა ჩამოართვა. რატომ დაინტერესდნენ გერმანელი ჟურნალისტები პოლონეთის ნაკრებით? პასუხი მარტივია. პოლონეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესნაკრების თანაჯგუფელია.*

**— 1974 წელს, როცა ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართა, პოლონეთი მესამე ადგილზე გავიდა. როგორ ფიქრობთ, მორიგ გერმანულ ჩემპიონატზე იგივე შედეგის გამეორებას მოახერხებთ?**

— პირველ რიგში შეგახსენებთ, რომ პოლონეთი 82-შიც მესამე ადგილზე გავიდა, მაშინ მეც ნაკრების ფეხბურთელი ვიყავი და შვიდივე მატჩში ვითამაშე. ორგზის ბრინჯაოს პრიზიორობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პოლონეთის ნაკრების წარმატებული თამაში მოულოდნელი არავისთვის უნდა იყოს.

**— საკვალიფიკაციო ეტაპზე თქვენ მხოლოდ ინგლისი ვერ დაამარცხეთ. ეს ფაქტი გაფრთხილება ხომ არ უნდა იყოს თქვენი თანაჯგუფელებისთვის — გერმანიისთვის, კოსტა რიკისთვის და ეკვადორისთვის?**

— თითოეულ მატჩზე ჩვენ მხოლოდ მოსაგებად გავდივართ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ამაზე პასუხი ჩვენი მეტოქეების მწვრთნელებმა უნდა გაგცენ.

**— თუმცა თამაში უფრო იოლია, როცა მეტოქე სათანადოდ ვერ გაფასებთ...**

— დიახ, მუნდიალზე ჩვენ ფავორიტებად არ ვითვლებით, რაც, ერთი მხრივ, თამაშს გვიადვილებს, მეორე მხრივ კი, პოლონელი გულშემატკივრები ჩვენგან წარმატებას მოითხოვენ, რაც წნეხის ქვეშ გვაქცევს.

**— პოლონური ფეხბურთი ბოლო დროს აღმავლობის გზას ადგას. რის ხარჯზე მიაღწიეთ ამას?**

— პოლონეთის ნაკრები ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო. უბრალოდ, ევროპის წინა ჩემპიონატზე რომ ვერ გავედით, ჩათვალეს, რომ კრიზისი დაგვეწყო, მუნდიალზე მოხვედრა კი კრიზისის დასასრულად მიიჩნიეს. მე ასე ვიტყოდი: კრიზისი კი არა, უიღბლობის პერიოდი დაგვიმთავრდა.

**— თქვენი ნაკრების კოზირი თავდასხმაა. მაცეი ჟურავსკიმ და ტომაშ ფრანკოვსკიმ საკვალიფიკაციო ეტაპზე 14 გოლი გაიტანეს. როგორ ფიქრობთ, ისინი ჩემპიონატის აღმოჩენად ვერ იქცევიან?**

— ვფიქრობ, შეუძლიათ. თუმცა იმასაც აღვნიშნავ, რომ ნაკრების შემადგენლობა ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ მაქვს.

**— რომელ ეტაპამდე გააღწევს პოლონეთის ნაკრები?**

— გთხოვთ, შემდეგი კითხვა.

**— გერმანიის ნაკრებს როგორ შეაფასებთ?**

— ყველა რგოლში დაბალანსებულია, რის გამოც მისი სუსტი მხარეების გამორჩევა ძნელია. გერმანია ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტია და ბედნიერი ვიქნები, პოლონეთი და გერმანია მუნდიალზე ორჯერ თუ შეხვდებიან ერთმანეთს.

**— გერმანულ ფეხბურთს რამდენად კარგად იცნობთ?**

— მე და ჩემი თანაშემწეები მუდმივად ვადევნებთ თვალს ბუნდესლიგაში მიმდინარე ამბებს. პირველ რიგში, ცხადია, გერმანულ კლუბებში მოთამაშე პოლონელი ფეხბურთელები გვაინტერესებს.

**— ვინ მოიგებს ჩემპიონატს?**

— ჩემი ფავორიტი ბრაზილიაა.

# სხვისი შვილები



„იაპონელი“ ზიკო ბრაზილიელი პარეირას წინააღმდეგ

**როცა** ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირია, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია, ხშირად გაიგონებთ, საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა უდიდესი სიამაყე და პატივიაო. და მართლაც: მსოფლიოს პირველობაზე გასული ეროვნული გუნდი მთელ ერს ერთ მუშტად კრავს. ეს კი ასეა, მაგრამ ხშირად მწვრთნელები განსხვავებულ სიტუაციაში ხვდებიან.

2006 წლის გერმანიის მუნდიალის მონაწილე გუნდების თითქმის ნახევარს უცხოელი მწვრთნელი ჰყავს. ამათგან მხოლოდ ორია ისეთი, რომელთა ქვეყნებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გამოვლენ. ეს, რა თქმა უნდა, სატურნირო დაძაბულობას ამძაფრებს — მავანი რომ თავისი სამშობლოს ნაკრებს უცხოური გუნდის თავკაცის რანგში ხვდება, საფეხბურთო ვნებები განსაკუთრებით ბობოქრობს.

ცხადია, უცხოეთში გადახვეწილ მწვრთნელთა უმრავლესობას თანამემამულეებთან ჯახი არ ეჭაშნიკება. მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როცა მწვრთნელს თავისი ქვეყნის ნაკრებთან წარმატებული საფეხბურთო ან სადამრიგებლო ბრწყინვალე კარიერა აკავშირებს. ასეთი თამაშები ადრეც ყოფილა და მომავალშიც მრავლად იქნება. 2006-ის მსოფლიოს პირველობის ჯგუფურ ეტაპზე ორ მწვრთნელს მოუწევს თავისი ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ ბრძოლა.

### განახლებული დუელი

ამბობენ, რომ მეხი ერთ ადგილზე ორჯერ არასოდეს ეცემა. თუმცა შვედი სვენ გორან ერიკსონი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, ალბათ ამ გამოთქმას არ ეთანხმება.

ერიკსონი ბრიტანელთა თავკაცად 2001 წელს დანიშნეს. იქამდე ინგლისელებს ნაკრების მწვრთნელად უცხოელი არასდროს ჰყოლიათ. შვედს სამშობლოსთან ომმა მალე მოუწია. ინგლისის და შვედეთის ნაკრებები ერთმანეთს 2002 წლის კორეა-იაპონიის მუნდიალზე შეეყარნენ ჯგუფში. ატყდა დიდი პოლემიკა, რადგანაც ინგლისელ გულშემატკივართა და ჟურნალისტთა დიდი ნაწილი ფეხბურთის სამშობლოს ეროვნული გუნდის „გადამთიელის“ ხელში ჩაგდებას ამრეზით უყურებდა მიუხედავად ზეწოლისა, ერიკსონს წონასწორობა არ დაუკარგავს და რაც შეეძლო, გააკეთა — ინგლისის ნაკრები მეოთხედფინალში საჩემპიონოდ გამზადებულ ბრაზილიასთან დამარცხდა, შვედეთთან მატჩი კი 1:1 დასრულდა.

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ზუგდიდი | გამსახურდიას №41 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე დავბრუნდები!

## ვლადიმერ სტეფანია: ფაჩულია უკვე ჩემზე კარგი კალათბურთელია



ბადრი ვადილაძის ფოტო

*ნბა-ში საქომაგოდ ქართველებს ახლა ზაზა ფაჩულია გვყავს, რომელიც ხშირად გვიხარებს გულს, თუმც იყო დრო, მსოფლიოს უმძლავრეს საკალათბურთო ლიგაში ვლადიმერ სტეფანიას წარმატებებითაც „ვიკვებებოდით“. ნბა-ს ქართველი პიონერი ჯერაც „საკალათბურთო“ ასაკშია, თუმც მუხლები ვერაფრით მოურჩენია და დღესდღეობით ამერიკაში საკუთარ ბიზნესითაა დაკავებული. ხანგრძლივი განშორების შემდეგ სტეფანია თბილისში შარშან ზაფხულს დავით ტატიშვილის კლინიკაში მკურნალობდა, მაგრამ ამან დადებითი შედეგი ვერ გამოიღო და ვოვაც მშობლიურად ქცეულ სიეტლს დაუბრუნდა. სტეფანიას მთავარი ამოცანამოედანზე დაბრუნებაა, თუმც მანამდე „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსთან“ აქვს სასამართლოში საქმე გასარჩევი, რადგან ამ კლუბმა უმიზეზოდ გაუწყვიტა მას კონტრაქტი...*





— გამარჯობა, ვოვა, „სარბიელიდან“ გაწუხებ...

— „სარბიელიდან“? ჟურნალისტებს კარგა ხანია, არ დაურეკავთ, მგონია, დაგავიწყდით.

**— რა დავიწყება, ისიც ვიცით, რომ „პორტლენდთან“ სასამართლო გელის, თუმც მანამდე ჯანმრთელობის ამბებს გამოგკითხავ...**

— ვერ ვარ კარგად. მუხლები მაწუხებს. ვერ ვვარჯიშობ და შესაბამისად, კალათბურთსაც დროებით ჩამოვშორდი.

**— თბილისში ხომ მკურნალობდი, მანამდე კი ამერიკაში ოპერაციაც გაიკეთე. ექიმებმა ვერაფერი გიწამლეს?**

— მიწამლეს კი არა, თბილისში მკურნალობამ, მგონი, უკუშედეგი გამოიღო. შევცდი, ქართველ ექიმებს რომ ვენდე. ამდენი ხანი გავიდა და ფეხზე მყარად ჯერაც ვერ დავდექი.

**— ახლა არ მკურნალობ?**

— ჯერჯერობით არა, „პორტლენდთან“ სასამარლოს ველი და მერე ალბათ დენვერში წავალ, სადაც მსოფლიოში ყველაზე კარგი ექიმია. არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ ერთი ოპერაცია დამჭირდეს, თუმც ისე მინდა მოედანზე დაბრუნება, რომ მზად ვარ, ქირურგიულ მაგიდაზე კვლავ დავწვე.

**— რამდენად რეალურია მოედანზე დაბრუნება?**

— ეს ჩემი მთავარი მიზანია. ვფიქრობ, რომ კიდევ 3-4 წელი შევძლებ თამაშს, თუმც რა დონეზე, ეს ჯანმრთელობაზე იქნება დამოკიდებული.

**— თუ ძველებური ფორმა ვერ აღიდგინე, ნბა-ში ადგილს მონახავ?**

— ოპერაციას თუ გავიკეთებ, მაშინ ალბათ ევროპაში წავალ სათამაშოდ, სადაც ნბა-სთან შედარებით მსუბუქი ვარჯიშებია. თუ კარგად მიმკურნალეს და ქირურგიული ჩარევა აღარ დამჭირდა, ვფიქრობ, ნბა-შიც გამოიძებნება ჩემი მსურველი კლუბი.

**— ისევ „პორტლენდი“ ხომ არა?**

— არა, რა „პორტლენდი“... ამ გუნდის ხელმძღვანელობამ სიმულიანტობა დამაბრალა და ამ მიზეზით მოქმედი კონტრაქტი გამიწყვიტა. ხუთი იმდენიც რომ შემომთავაზონ, რამდენიც მქონდა, „პორტლენდში“ მაინც აღარ მივალ.

**— სასამართლოც ამიტომ გაქვს, სიმულანტობა ხომ დაგაბრალეს?**

— სწორედ მაგიტომ. მე მაშინ მართლა მაწუხებდა მუხლები და მოედანზე ვერ გავდიოდი, „პორტლენდის“ ხელმძღვანელობა კი ადგა და კონტრაქტი გამიწყვიტა. სასამართლოზე იმ თანხას მოვითხოვ, რომელიც ხელშეკრულების თანახმად უნდა ამეღო. იმედი მაქვს, სიმართლე გაიმარჯვებს და 30 აპრილს სასამართლოს მოვიგებ.

**— ახლა რას აკეთებ, რით ხარ დაკავებული?**

— ჩემი პატარა ბიზნესი მაქვს. მაშ, უსაქმოდ ხომ არ ვიქნები. ახლახან ნიუ იორკში ვიყავი, გადამდგარ მოთამაშეთა ორგანიზაციაში, სადაც საკალათბურთო აგენტობა შემომთავაზეს. ალბათ გავხდები კიდეც ნბა-ს ლიცენზირებული აგენტი, მაგრამ მანამდე, როგორც ვთქვი, 3-4 წელი თამაშს ვაპირებ. ისე მომენატრა კალათბურთის თამაში, რომ იმ დღეს ხელი წამიცდა. სპორტკომპლექსში ვიყავი აუზზე და როცა კალათბურთის მოედანთან გავიარე, გულმა არ მომითმინა და ვითამაშე. იმ საღამოს მუხლები დამისივდა და მივხვდი, რომ უექიმოდ არაფერი გამომივა.

**— საქართველოდან რომ მიდიოდი, „დინამოსთან“, საქმიანი გარიგება დადე. პერსპექტიული ახალგაზრდების ამერიკის სტუდენტურ ლიგაში წაყვანას ვლადიმერ სტეფანია უზრუნველყოფსო, განაცხადა მაშინ „დინამოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა გია სანაძემ...**

— „დინამოსთან“ მართლაც მქონდა საქმიანი მოლაპარაკებები, მაგრამ ეს საქმე სადღეისოდ გაყინულია. მე არ მაქვს ინფორმაცია, თუ რა ხდება „დინამოში“. იქ რომ გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდები ვარჯიშობდნენ, აუცილებლად გავიგებდი.

**— მაშ, რას აპირებ „დინამოსთან“ დაკავშირებით?**

— დაველოდები ზაფხულს, როცა ზაზა ფაჩულია კემპს ჩაატარებს და ტალანტებიც გამოიკვეთება. ამ თვეში თბილისში ცნობილი აგენტები ჩამოდიან და მათ სელექციასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. უნდა გამოიკვეთოს ასამდე პერსპექტიული ბავში, რომლებთანაც „დინამოს“ საკალათბურთო სკოლა კონტრაქტებს გააფორმებს და მერე მათ ამერიკაში მოწყობაზე ვიზრუნებთ. რა თქმა უნდა, ყველა ვერ წავა შტატებში. 5-6 ბავშვიც რომ შეგროვდეს, საკმარისია. მაგალითად, ლიტვას 50 ბავშვი ჰყავს გაგზავნილი ამერიკის ჰაი სქულებსა და კოლეჯებში.

**— სხვების ყურებას არ სჯობდა, საკუთარი კემპი ჩაგეტარებინა და თავად გამოგერჩია საუკეთესო ქართველი ბავშვები?**

— მინდოდა, მაგრამ თუ გადავწყვეტდი, დიდი კემპი უნდა გამეკეთებინა. საქართველოში კი 80 ბავშვი თუ შეგროვდება, უცხოელებთან რომ თამამად ავარჯიშებ. ამიტომაც გადავიფიქრე.

**— არ იქნება, ზაზა ფაჩულიაზე არ გკითხო...**

— ზაზას წარმატებები ძალიან მიხარია. ბოლოს და ბოლოს, ფაჩულია არის ერთადერთი ქართველი კალათბურთელი, რომელიც მირეკავდა და ჩემს ამბებს კითხულობდა. ის უკვე ჩამოყალიბებული ლიდერია, მაგრამ, ვფიქრობ, კიდევ ბევრი უნდა მოუმატოს. მართალია, დღეს ის შესაძლებლობის მაქსიმუმს იყენებს, მაგრამ საკალათბურთო აზროვნების კუთხით ჯერაც არ შეუწყვეტია ზრდა და იმედია, კიდევ დაიხვეწება. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ზაზა ფაჩულია უკვე ჩემზე კარგი კალათბურთელია და აქვს შანსი, ძალიან კარგიც გახდეს.

**— ნბა-ში თამაშის საკმარისი გამოცდილება გაქვს და რას ურჩევდი ფაჩულიას?**

— ვურჩევდი, რომ კიდევ უფრო მეტი აგრესიულობა გამოავლინოს და უხვი სათამაშო წუთები, რომელსაც „ატლანტას“ მწვრთნელი მისთვის არ იშურებს, გამოცდილების დაგროვებისა და სწავლისთვის გამოიყენოს. ერთადერთი მისი მინუსი ისაა, რომ მოედანზე სწრაფად ვერ გადაადგილდება. სისხარტე რომ შეიმატოს, გაცილებით სახიფათო გახდება ნებისმიერი მეტოქისთვის.

**— რომელ ცნობილ ცენტრს შეადერებ ზაზა ფაჩულიას?**

— რამდენად შევადარებ, არ ვიცი, მაგრამ მინდა, რომ მეჰმედ ოქურის დონეს მიაღწიოს. ზაზა გუნდის ლიდერთაგანია, მაგრამ მასზე „ატლანტა“ თამაშს არ აწყობს. კომბინაციათა უმრავლესობა ისე თამაშდება, რომ ზაზასთან ბურთი არ მიდის და ის მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ფაჩულიას საკუთარი ძალით უხდება ბურთის მოპოვება.

**— შენი აზრით, რატომ არ აგებენ ზაზაზე თამაშს ატლანტელები?**

— „ატლანტა“ ზანგების, რეპერების გუნდია. რაღაცნაირი კლუბია და არც მწვრთნელი მომწონს, სიმართლე რომ გითხრათ. თუმც ეს არაა მთავარი. ზაზამ ასე გააგრძელოს და დიდ წარმატებასაც მიაღწევს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

21 მარტი

იუტა 107:99 ფინიქსი

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

ვაშინგტონი 100:112 ნიუ ჯერსი

შარლოტი 108:102 ორლანდო

მემფისი 105:75 ინდიანა

დალასი 88:72 ჰიუსტონი

საკრამენტო 105:96 სიეტლი

ნიუ იორკი 109:114 ტორონტო

ნიუ ორლეანი 120:108 კლიპერსი

მინესოტა 100:96 მაიამი

სან ანტონიო 107:96 გ. სტეიტი

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 38 | 28 | 57,6 |
| ფილადელფია | 31 | 35 | 47,0 |
| ბოსტონი | 28 | 40 | 41,2 |
| ტორონტო | 25 | 42 | 37,3 |
| ნიუ იორკი | 19 | 47 | 28,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 53 | 13 | 80,3 |
| კლივლენდი | 38 | 29 | 56,7 |
| ინდიანა | 33 | 32 | 50,8 |
| მილუოკი | 34 | 33 | 50,7 |
| ჩიკაგო | 29 | 38 | 43,3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 45 | 22 | 67,2 |
| ვაშინგტონი | 34 | 32 | 51,5 |
| ორლანდო | 24 | 43 | 35,8 |
| ატლანტა | 21 | 44 | 32,3 |
| შარლოტი | 19 | 49 | 27,9 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 53 | 14 | 79,1 |
| დალასი | 53 | 15 | 77,9 |
| მემფისი | 38 | 29 | 56,7 |
| ნიუ ორლეანი | 32 | 33 | 49,2 |
| ჰიუსტონი | 29 | 39 | 42,6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 38 | 30 | 55,9 |
| იუტა | 32 | 35 | 47,8 |
| მინესოტა | 28 | 39 | 41,8 |
| სიეტლი | 26 | 40 | 39,4 |
| პორტლენდი | 20 | 47 | 29,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 45 | 21 | 68,2 |
| კლიპერსი | 39 | 27 | 59,1 |
| საკრამენტო | 34 | 33 | 50,7 |
| ლეიკერსი | 35 | 34 | 50,7 |
| გ. სტეიტი | 28 | 38 | 42,4 |



## რეგულარული ჩემპიონატი

21 მარტი

**ოტავა 5:2 პიტსბურგი**

*1:0 2:1 2:1*

1:0 ალფრედსონი (3), 1:1 არმსტრონგი (27), 2:1 მესაროში (28), 3:1 კელი (33), 4:1 ნილი (44), 4:2 სუროვი (49), 5:2 ვერმეტი (56)

**სენტ ლუისი 0:6 სან ხოსე**

*0:1 0:2 0:3*

0:1 ჩიჩუ (5), 0:2 ბერნიე (22), 0:3 ბერნიე (27), 0:4 მაკოლი (52), 0:5 სმიტი (54), 0:6 ეკმანი (58)

**დეტროიტი 2:3 ნეშვილი**

*2:2 0:0 0:0 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 ჰარტნელი (6), 1:1 ლანგი (10), 2:1 შენაჰანი (11), 2:2 სალივანი (15), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი: ერატი

**აილენდერსი 3:1 მონრეალი**

*1:1 1:0 1:0*

1:0 ბერგენჰეიმი (10), 1:1 შტრაიტი (12), 2:1 ნილსონი (35), 3:1 ბლეიკი (52)

**კოლუმბუსი 2:5 ფინიქსი**

*2:1 0:2 0:2*

1:0 ფუტი (8), 2:0 ფიოდოროვი (11), 2:1 ჯონსონი (20), 2:2 რაინპრეხტი (27), 2:3 დოუნი (30), 2:4 შოსტრომი (45), 2:5 კომრი (60)

**ბოსტონი 4:5 ატლანტა**

*2:0 1:1 1:3 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 ბერჟერონი (3), 2:0 შტურმი (18), 2:1 ლარსენი (36), 3:1 მიურეი (37), 3:2 სავარი (43), 4:2 ჩერკავსკი (50), 4:3 ჰოლიკი (53), 4:4 მაკარტი (59), 4:5 გადამწყვეტი ბულიტი: სლეიტერი

**ფილადელფია 2:1 ნიუ ჯერსი**

*1:0 1:0 0:1*

1:0 განიე (2), 2:0 ფორსბერგი (37), 2:1 ჯიონტა (44)

**ედმონტონი 1:4 ვანკუვერი**

*0:2 1:1 0:1*

0:1 ლინდენი (6), 0:2 დ. სედინი (10), 1:2 ტორესი (22), 1:3 კესლერი (33), 1:4 დ. სედინი (59)

**მინესოტა 3:1 კალგარი**

*0:0 2:1 1:0*

0:1 რიჩი (27), 1:1 გაბორიკი (29), 2:1 როლსტონი (40), 3:1 გაბორიკი (60)

**ტორონტო 3:2 კაროლინა**

*1:0 0:0 2:2*

1:0 სტინი (8), 2:0 ხავანოვი (23), 2:1 კომოდორი (24), 2:2 სტაალი (27), 3:2 ელისონი (56)

**აღმოსავლეთ კონფერენცია** — NHL

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 68 | 47 | 15 | 6 | 271:162 | 100 |
| კაროლინა | 68 | 45 | 17 | 6 | 255:210 | 96 |
| რეინჯერსი | 68 | 39 | 19 | 10 | 219:167 | 88 |
| ბუფალო | 67 | 44 | 18 | 5 | 231:194 | 93 |
| ფილადელფია | 69 | 38 | 21 | 10 | 226:221 | 86 |
| ტამპა | 69 | 36 | 28 | 5 | 216:219 | 77 |
| ნიუ ჯერსი | 68 | 34 | 26 | 8 | 188:195 | 76 |
| ატლანტა | 69 | 34 | 29 | 6 | 230:230 | 74 |
| მონრეალი | 68 | 32 | 27 | 9 | 194:212 | 73 |
| ტორონტო | 68 | 32 | 30 | 6 | 208:226 | 70 |
| აილენდერსი | 68 | 32 | 32 | 4 | 199:232 | 68 |
| ფლორიდა | 68 | 29 | 30 | 9 | 196:212 | 67 |
| ბოსტონი | 70 | 27 | 31 | 12 | 198:223 | 66 |
| ვაშინგტონი | 67 | 22 | 37 | 8 | 193:263 | 52 |
| პიტსბურგი | 69 | 17 | 40 | 12 | 196:273 | 46 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 68 | 47 | 15 | 6 | 254:175 | 100 |
| დალასი | 68 | 45 | 20 | 3 | 225:180 | 93 |
| კალგარი | 68 | 38 | 22 | 8 | 176:173 | 84 |
| ნეშვილი | 69 | 42 | 19 | 8 | 219:191 | 92 |
| კოლორადო | 69 | 38 | 25 | 6 | 244:211 | 82 |
| ანაჰაიმი | 67 | 34 | 21 | 12 | 198:183 | 80 |
| ვანკუვერი | 70 | 37 | 27 | 6 | 222:216 | 80 |
| ედმონტონი | 690 | 34 | 24 | 11 | 220:222 | 79 |
| ლოს ანჯელესი | 70 | 37 | 28 | 5 | 226:234 | 79 |
| სან ხოსე | 67 | 34 | 23 | 10 | 217:200 | 78 |
| მინესოტა | 69 | 32 | 30 | 7 | 200:181 | 71 |
| ფინიქსი | 69 | 32 | 33 | 4 | 208:226 | 68 |
| კოლუმბუსი | 69 | 26 | 40 | 3 | 173:243 | 55 |
| ჩიკაგო | 67 | 21 | 37 | 9 | 171:232 | 51 |
| სენტ ლუისი | 67 | 20 | 36 | 11 | 174:241 | 51 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*



# გელაშვილის ჩეხური

**პრაღაში** დასრულებული ჩეხეთის ღია ჩემპიონატზე ქართველმა მოთხილამურემ ჯაბა გელაშვილმა იჩემპიონა. ეს ტურნირი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა და სამიდან ერთ-ერთ დისციპლინას გელაშვილი ყოველთვის იგებდა. ბოლო ეტაპისას კი 13 წლის პერსპექტიულმა ქართველმა ყველაფერი მოიგო. სლალომში, სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში ჯაბას საუკეთესო დრო ჰქონდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა


AFP

# ფერარის ფრთებს უწუნებენ

Formula 1

იმისდა მიუხედავად, რომ „ფერარის" პილოტებმა გასულ კვირას მალაიზიაში დიდად ვერ იხეირეს და მხოლოდ მეხუთე-მეექვსე ადგილებზე დაასრულეს რბოლა, მეფორმულე მეტოქეები „წითელ საჯინიბოს" მაინც არ ეშვებიან და კონსტრუქციულ ეშმაკობაში სდებენ ბრალს

ანტიფერარული „მოძრაობის" მიზეზი გახდა კოლექტიური წერილი, რომელიც ჩემპიონატში მონაწილე ცხრა გუნდმა გაუგზავნა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ტექნიკურ დელეგატ ჩარლი უაიტინგს. მასში აღნიშნულია, რომ №5 „ფერარის" (მიხაელ შუმახერი) ანტიფრთების კონსტრუქცია FIA-ს ტექრეგლამენტს ეწინააღმდეგება და ამის გამო ახსნა-განმარტებას ითხოვენ.

სკანდალი კი მას შემდეგ აგორდა, რაც კონკურენტებმა შეატყვეს, რომ „ფერარის" რბილი, დრეკადი წინა ფრთის გეომეტრია რბოლისას დასაშვებ ხუთ მილიმეტრზე მეტით იცვლება. კერძოდ, ეს ელემენტები მოსახვევში მცირე სიჩქარისას უზრუნველყოფს ასფალტთან შეჭიდულობის საკმაო ძალას, შემდგომი აჩქარებისას კი იღუნებიან — კუთხეს იცვლიან, რის შედეგადაც მცირდება აეროდინამიკური წინააღმდეგობა და, შესაბამისად, მანქანის სისწრაფე მატულობს.

უაიტინგმა და ჯო ბაუერმა, მთავარმა პირებმა, რომელთაც მოეთხოვებათ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვის გაკონტროლება, გულდასმით შეამოწმეს იტალიური ბოლიდები და დარღვევა არ დაადასტურეს. მით უფრო, რომ სკუდერიელებმა უხინჯოდ გაიარეს კონსტრუქციული ტესტირება, თუმც სასტენდო შემოწმებისას ფრთებზე გაცილებით ნაკლები დატვირთვა მოქმედებდა, ვიდრე უშუალოდ რბოლისას.

ერთი სიტყვით, FIA-ს „ფერარისთან" პრეტენზია არ გასჩენია, მაგრამ, როგორც მომჩივნები თვლიან, ფაქტი სახეზეა.

იტალიური საჯინიბოს ფრანგი გენდირექტორი ჟან ტოდტი ბრალდებას მშვიდად შეხვდა: „ჩვენი მანქანები რეგლამენტს შეესატყვისება, წინააღმდეგ შემთხვევაში მაშინვე დისკვალიფიკაციით დაგვსჯიდნენ. თუ ფედერაციას „ფერარის" მიმართ პრეტენზიები გაუჩნდება, ცხადია, დაუყოვნებლივ შევცვლით ანტიფრთების კონსტრუქციას."

უაიტინგი პროტესტანტებს საკითხის მოგვარებას უახლოეს დღეებში, ორ აპრილს ავსტრალიაში რბოლამდე დაჰპირდა. თუ ფედერაცია ტექრეგლამენტში ცვლილებას არ შეიტანს, ანტიფერარისტები თავადაც გამოიყენებენ აკრძალულ წინაფრთებს.

არადა, როგორც გაირკვა, წერილის ხელმომწერი ორი საჯინიბო — „მაკლარენი" და „BMW — ზაუბერიც" ანალოგიური ელემენტებით სარგებლობენ.

**ზია ახალაძე**



# ავსტრალიელი დიაცები რეკორდს რეკორდზე ამსხვრევენ


ლეისელ ჯონსი

**მელბურნში** ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშები მიმდინარეობს და თან საკმაოდ საინტერესოდაც.

ყველაზე დიდი ამბები ცურვაში დატრიალდა, სადაც ავსტრალიელი ქალები შეუჩერებელნი არიან და ოქროს ოქროზე იგებენ, თან მსოფლიოს რეკორდებს ერთმანეთის მიყოლებით ამსხვრევენ.

განსაკუთრებით თავი ლეისელ ჯონსმა გამოიდო, რომელმაც უკვე ოთხი ოქრო მოიხვეჭა მშობლიურ მელბურნში. ეს ქალბატონი, მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 21 წლისაა, კარგა ხანია, ცნობილია ცურვის სამყაროში. მან თავი ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში გამოიჩინა, როცა სიდნეის ოლიმპიადაზე ვერცხლი მოიგო. თუმც ამის შემდეგ ის თითქოს გადაიკარგა და ოზ მეკალმეთაგან ბევრიც მოხვდა. მერე ჯონსმა გარკვეულწილად შეცვალა თავისი ცხოვრების რიტმი და შედეგებიც მოიმკო — შარშან მონრეალის მსოფლიოს ჩემპიონატზე მან ორი ოქროს მოპოვება მოახერხა ბრასში, ხოლო ექვსი კვირის წინ ნაკრების შესარჩევი გაცურვებისას ამავე სტილში 100 მეტრსა და 200 მეტრში მსოფლიოს რეკორდებიც დაამყარა.

ჯონსი მელბურნშიც დიდებულად ცურავს. მან უკვე მოიგო ოქროები ბრასში 50 და 200-მეტრიან დისტანციებზე, 100 მეტრი კი 1.05,09 წუთში გაცურა და თავისივე რეკორდი 0,62 წამით გააუმჯობესა.

„აბსოლუტურ შოკში ვიყავი. არც კი მჯეროდა" — განუცხადა ჯონსმა თავის ყოფილ კრიტიკოსებს და იქვე დაამატა, რომ ამ რეკორდის გაუმჯობესებას კვლავაც ეცდება.

„მწვანე კონტინენტის" წარმომადგენლები არც ამით დაწყნარდნენ და კიდევ ერთი, ამჯერად უკვე გუნდური რეკორდი გამოაცხვეს. იმავე ლეისელ ჯონსის, სოფი ედინგტონის, ჯესიკა შიპერისა და ლიბი ლენტონის კვარტეტმა 4X100 თავისუფალ სტილში ათენის ოლიმპიადაზე დაფიქსირებული რეკორდი — 3.57,32 წუთი — გააუმჯობესა. ახალი რეკორდი 3.56,30 წუთია.

**ჰაკა ლომჯაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გთხოვთ, არ იხმაუროთ!

## ქართული ჩოგბურთი სამხრეთ აფრიკას ხალიჩას და სპორტის სასახლეს უმზადებს

*7-9 აპრილს საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელა ნაკრები დევისის თასის შეხვედრაში სამხრეთ აფრიკას უმასპინძლებს. ჩვენი გუნდი საკუთარ კედლებში პირველად იწყებს და თამაშები დახურულ დარბაზში, ხალიჩაზეც პირველად ჩატარდება. სადევისო სამზადისსა და ნაკრების უახლოეს გეგმებზე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი მოგვითხრობს*



— დევისის თასზე მონაწილეობის თორმეტწლიანი გამოცდილება გვაქვს, მაგრამ ასეთი სერიოზული გამოცდა ჯერ არასოდეს ჩაგვიბარებია. აქამდე საშინაო მატჩებს ყოველთვის ღია მოედანზე ვმართავდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლო კენჭისყრამ აფრიკელების მასპინძლობის უფლება მოგვანიჭა, დარბაზზე სერიოზულად დავფიქრდით, რადგან რისკის ფაქტორი დიდი იყო. შეჯიბრი აპრილის დასაწყისში უნდა ჩატარდეს და შეიძლებოდა, წვიმიან ამინდებს სერიოზული პრობლემები შეექმნა, რაც ჯამში დიდ ფინანსურ ჯარიმად დაგვიჯდებოდა. კენჭისყრის დასრულებისთანავე დავიწყეთ დარბაზის ძებნა. ადვილი მისახვედრია, არჩევანი არცთუ დიდი გვქონდა და სპორტის სასახლეზე შევჩერდით. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისა და ოლიმპიური ფონდის დახმარებით უკვე ხალიჩაც შევიძინეთ.



ირაკლი ლაბაძე

... ხალიჩა უფრო სწრაფი თამაშის მოყვარულებს უყვართ. მართალია, დევისის თასზე ეს ჩვენი ნაკრებისთვის სიახლეა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ უპირატესობა სტუმრების მხარეს იქნება. ჩვენი მთავარი მოთამაშეები ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე — სწრაფ საფარზე უკეთ გრძნობენ თავს. ამ ორის გარდა საქართველოს ღირსებას გიორგი ჭანტურია, გიორგი ხრიკაძე და ირაკლი უშანგიშვილი დაიცავენ. გუნდის კაპიტანი კი გელა ელერდაშვილი იქნება. რაც შეეხება დავით კვერნაძეს, რომელიც ბოლო წლებში ნაკრების წევრი იყო, ავადმოყოფობის გამო თითქმის ორი თვე გაუცდა და ვარჯიში ახლახან განაახლა.

... აფრიკელები თბილისში 31 მარტს ჩამოვლენ. უკვე შემადგენლობაც გამოგვიგზავნეს. მათი პირველი ნომერი ვესლი მუდი მსოფლიო რეიტინგში 72-ე ადგილზეა. შარშან წყვილთა შორის უიმბლდონზეც კი გაიმარჯვა, რაც მის ძალაზე მეტყველებს. მეორე ნომერი ჯერი კუცი ორასეულშია. ამ მხრივ უპირატესობა სტუმრების მხარესაა, მაგრამ აუცილებლად მოსაგებად ვიბრძოლებთ. ჩვენმა ლიდერმა ირაკლი ლაბაძემ ბოლო დროს ტრავმაც მოირჩინა და ნელ-ნელა თამაშსაც უმატებს. იგი მსოფლიო რეიტინგში 140-ე ადგილს მიუახლოვდა. ხოლო თავისზე წინ მდგომი ჩოგბურთელების დამარცხება რომ შეუძლია, არაერთგზის დაუმტკიცებია. აფრიკელების მსგავსად, ჩვენი ნაკრებიც 31 მარტს შეიკრიბება და სპორტის სასახლეში ივარჯიშებს.

... მართალია, თამაშებამდე ორ კვირაზე მეტი რჩება, მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოები კარგა ხნის წინ დავიწყეთ. ხალიჩა და ბადე უკვე თბილისშია და ამ დღეებში მის დასამონტაჟებლად სპეციალისტებიც ჩამოვლენ. საორგანიზაციო კომიტეტს ჯერ კიდევ ბევრი საკითხი აქვს მოსაგვარებელი. კენჭისყრა 6 აპრილს გაიმართება. 7 და 9 აპრილს ერთეულთა შეხვედრები პირველ საათზე დაიწყება, ხოლო 8 აპრილს ოთხ საათზე ტურნირის ოფიციალური გახსნის ცერემონია და წყვილთა თამაში გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ სამდღიანი ბილეთის ფასი 12 ლარი იქნება, ერთდღიანის — 5. დამზადებულია სპეციალური ბილეთებიც, რომლებიც ჩვენს საჩოგბურთო კლუბებს ნახევარ ფასად გადაეცემათ. აქვე ერთი სიახლეც: რახან ჩოგბურთი სპეციფიკური სახეობაა და ბურთის გათამაშებისას გულშემატკივრობა მიუღებელია, ბილეთზევე იქნება მითითებული წესები და შენიშვნები. თამაშები საზოგადოებრივი არხის პირდაპირი ეთერით გადაიცემა. ტრანსლაციის უფლება სამხრეთ აფრიკელებმაც იყიდეს.

... დევისის თასს თავისი სპონსორები ჰყავს და კორტების მიმდებარე სარეკლამო დაფებზე მხოლოდ ერთი ადგილი დაგვითმეს. მოგეხსენებათ, ჩვენი ფედერაციის გენერალური სპონსორი კომპანია „კოკა-კოლაა“, მაგრამ ის ადგილი ადგილობრივი წარმოების კომპანიისთვის იყო განკუთვნილი და პრიორიტეტი „ჯორჯიან ჰოლდინგ ბაგრატიონს“ მიენიჭა.

... წინ ძალიან კარგი სანახაობა გველის. გულშემატკივრის გვერდში დგომა კი მიზნის მიღწევაში ძალიან დაგვეხმარება. სამხრეთ აფრიკის ნაკრები დევისის თასის უმაღლეს ლიგაში ოთხჯერ იყო, საქართველო — ჯერ არასოდეს. თუ აფრიკელებს ვაჯობებთ, იქამდე ერთი ნაბიჯილა დაგვრჩება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მორესმო კენწეროზე



**ჩვიდმეტთვიანი** შესვენების შემდეგ ამელი მორესმო კვლავ მოექცა რეიტინგის სათავეში. ფრანგმა ეს საპატიო ტიტული ბელგიელი კიმ კლაისტერსისგან გადაიბარა და ამიერიდან პირველ ჩოგნადაც იწოდება.

მორესმომ გაპირველება 2004 წელსაც მოახერხა, ასე რომ, მისთვის რეიტინგის თავში ყოფნა სიახლეს არ წარმოადგენს.

ბოლო თვეების განმავლობაში ნაჩვენები თამაშისა და შედეგების გათვალისწინებით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამელი ნამდვილად იმსახურებს ამ პატივს. ასე განსაჯეთ, ფრანგმა გასული წლის მიწურულს ჯერ ფილადელფიაში იმარჯვა, შემდეგ კი მარსტერსის თასიც ალმართა, წლეულს კი უკვე სამი ტიტული მოიხვეჭა — ავსტრალიის ღია პირველობაზე იყოჩაღა, რასაც მშობლიურ პარიზსა და ბელგიურ ანტვერპენში ჩაუქობაც დაუმატა. მოკლედ, ამელი ღირსეული პირველი ჩოგანია.

1975 წლის შემდეგ, როცა შემოღებულ იქნა რეიტინგის სისტემა, სულ 15 ჩოგბურთელმა მოახერხა გაპირველება.

ფრანგმა ორი წლის წინ მხოლოდ 5 კვირა გაძლო „მწვერვალზე“. ვნახოთ, ამჯერად რამდენ ხანს გამოუვა რეიტინგის სათავეში ყოფნა. ჯერ კი ამელი კვლავაც ტრავმირებულ კლაისტერსს 221 ქულით უსწრებს.

**კახა ლომაშვილი**

გულსაკლავი სურათი

# ბორგსაც გაუჭირდა



**ძალიან** მძიმე დღეშია ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად შერაცხული შვედი ბიორნ ბორგი. სამშობლოში მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულ ბორგს ფინანსურად გასჭირვებია და ამის გამო მეტად მძიმე ნაბიჯის გადადგმა უწევს — ლონდონის ბონჰემის აუქციონზე გასაყიდად გააქვს კარიერის განმავლობაში მოგებული უიმბლდონური თასები და თავისი ჩოგნები.

სულ კი ბორგს უიმბლდონზე ხუთჯერ უმარჯვია. თან იგი ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც ეს ზედიზედ ხუთჯერ შეძლო — 1976 წლიდან 1980-ის ჩათვლით.

სტაჟიან გულშემატკივრებს ემახსოვრებათ უკვე ლეგენდად ქცეული 1980 წლის ფინალი ბორგსა და ჯონ მაკინროის შორის, რომელიც ლამის ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო შეხვედრად არის აღიარებული. ჰოდა, აუქციონზე გასატანი ჩოგნებიდან ერთ-ერთს ბორგი სწორედ ამ ფინალში იქნევდა.

ასეთ რადიკალურ ნაბიჯს კი მარტივი ახსნა აქვს — ლეგენდარული შვედი რამდენადაც ძლიერი იყო კორტზე, იმდენად „უნიჭო“ გამოდგა ბიზნესში. ბიორნს რამდენიმე ფინანსური წამოწყება ჩაუფლავდა, თუმც კატასტროფის წინაშე ის ტანსაცმლის ბიზნესში დაბანდებებმა დააყენა — 1990 წელს ეს ფირმა გაკოტრდა და იმის შემდეგ ვალებს იხდის.

„ძალიან კი მიძნელდება ჩემი გამარჯვებების სიმბოლოების გაყიდვა, მაგრამ გარემოებები მაიძულებს ამის გაკეთებას. თუმც იმას, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში პლანეტის უძლიერესი ჩოგბურთელი ვიყავი, ამ ნივთების გაყიდვაც ვერ დამავიწყებს!“

**კახა ლომაშვილი**

# გია ჭუმბურიძის ოდესეა

გახსოვთ გია ჭუმბურიძე? ოთხი წლის წინ საქართველოს ნაკრებმა თბილისში რუსეთს რომ გადაუარა და 2003 წლის მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვა, ამ კაცმა 25-წლიანი ულვაში მოიპარსა, დათქმული მქონდაო. გია ჭუმბურიძე ბორჯღალოსანთა მაშინდელი მწვრთნელის, ფრანგი კლოდ სორელის მარჯვენა ხელი და ჩვენების სამწვრთნელო შტაბში ერთადერთი ქართველი იყო. ამასთან გია ჭუმბურიძე რაგბის საერთაშორისო საბჭოს განვითარების ოფიცერია აღმოსავლეთ ევროპაში. ორი წლის წინ, როდესაც საქართველოს რაგბის კავშირს უფროსობა შეცვალა, გია ჭუმბურიძე შინაური რაგბიდან გაუჩინარდა და თავი... უკრაინაში ამოჰყო.

ჭუმბურიძემ ოდესის „კრედო“ ჩაიბარა. პირველივე სეზონში წყალწაღებული ოდესელები იქაურ სუპერლიგაში აიყვანა და იმავე წელს უკრაინის ჩემპიონატის პლეი ოფში ათამაშა. 2 აპრილს გია ჭუმბურიძე და „კრედოს“ ოთხი ქართველი ლეგიონერი მესამე უკრაინულ სეზონს იწყებენ. ქართველების უკრაინული თავგადასვლების გასაგებად ჭუმბურიძესთან დაკავშირება გადავწყვიტეთ. მით უმეტეს, 29 აპრილს საქართველოს ნაკრები საერთათასო მეტოქე უკრაინას სწორედ ოდესაში ეთამაშება და ჭუმბურიძესთან საუბარი ორმაგად საინტერესო უნდა იყოს. როდესაც ოდესელთა ქართველ მწვრთნელს პირველად შევეხმიანეთ, მოულოდნელი პასუხი მივიღეთ — ახლა კლოდ სორელს უნდა დავხვდე აეროპორტში და მოგვიანებით დამირეკეთო. მოგვიანებით ისევ შევეხმიანეთ...


ბაჩუკი კაკილაძის ფოტო

## რა უნდა კლოდ სორელს უკრაინაში?

— კლოდ სორელი რატომ ჩამოვიდა უკრაინაში? უკრაინის ნაკრების მწვრთნელად ხომ არ ინიშნება?

— არა, თავისუფალი დრო გამოუჩნდა და ჩემი თხოვნით ჩამოვიდა. კლოდს უკრაინის ნაკრების დონე არ აკმაყოფილებს, უკეთესი ვარიანტები აქვს. უბრალოდ, მე ვთხოვე დახმარება. 2 აპრილს უკრაინის ჩემპიონატი იწყება და მინდა, გუნდის მომზადებაში დამეხმაროს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ძველი მეგობრობით მოხდა. არც უკრაინელების საფრანგეთში წაყვანაზეა ლაპარაკი და არც რაიმე შეთავაზებაზე.


ბაჩუკი კაკილაძის ფოტო

— ესე იგი, ჩემპიონატისთვის სერიოზულად ემზადებით...

— შარშან სუპერლიგაში დებიუტი გვქონდა და მეოთხე ადგილი დავიკავეთ. ბოლოს სულ რაღაც ორი ქულით წავაგეთ მომავალ ჩემპიონ კიევის „ავიატორთან“ და მეოთხე ადგილზე გავედით. წლეულს მესამე ადგილს ვუმიზნებთ და, ვფიქრობ, ეს უნდა შევძლოთ — არც შეკრებები გვაკლია და არც პირობები.

— უკრაინის ნაკრები რაა და ჩემპიონატიც არ უნდა იყოს მაღალი დონის...

— ჯერჯერობით ასეა, მომავალში კი სიტუაცია ალბათ რადიკალურად შეიცვლება, თუ აქაური რაგბის ფედერაცია უაზრო გადაწყვეტილებებს არ მიიღებს. სუპერლიგა ექვსგუნდაა. რეგულარული ჩემპიონატი ორწრიანია, შემდეგ მოწინავე ოთხეული ისევ ორ წრედ არკვევს მედალოსნებს. ორი აუტსაიდერი კი ქვედა, უმაღლესი ლიგის ორ საუკეთესოსთან შინ და გარეთ პრინციპით არკვევს დამრჩენ-გადამსვლელის ვინაობას. კლუბებს ფინანსურად არ უჭირთ, შეკრება გინდა თუ კომფორტი, ყველაფერი აქვთ. ჩვენს მაგალითზე გეტყვი. ისეთი მოედანი გვაქვს, საქართველოში არც დაგვესიზმრებოდა. ზამთარში შეკრება გვქონდა მოლდოვაში, მერე კარპატებში, საზაფხულო პაუზისას რომელიმე ევროპულ კურორტზე წავალთ. სატრენაჟორო დარბაზი, აუზი, საუნა, კვება სათვალავშიც არაა.

— თუ ასეთი პირობებია, ჩემპიონატი რატომაა დაბალი დონის?

— იმიტომ, რომ უაზრო გადაწყვეტილებებს იღებენ. სულ ვუჩიჩინებ, მაგრამ ამათ თავში არ შევიდა, რომ ლეგიონერები ჩამოიყვანონ და მათგან რამე მაინც ისწავლონ. ახლაც ისეთ სისულელეს აპირებენ, მსგავსი არაფერი გამიგია. 28-29 მარტს აქაური რაგბის ფედერაციის ალმასკომია, სადაც უნდა გადაწყვიტონ, რომ ერთმა გუნდმა ორზე მეტი ლეგიონერი არ ათამაშოს. ჩვენ გარდა ამ საკითხს ყველა ეთანხმება, არადა, თვითონ თამაში არ იციან და სხვისგანაც არ უნდათ ისწავლონ. მოქმედ ჩემპიონ „ავიატორს“ საერთოდ არ ჰყავს ლეგიონერი, „კიევს“ ერთი ჰყავს, ისიც ქართველია. სახელს და გვარს ახლა ვერ ვიხსენებ, არც საქართველოს ჩემპიონატიდან მახსოვს. თვითონ მითხრა, „ლელოში“ ვთამაშობდიო, 13-14 წლისა წამოსულა უკრაინაში. კიევის „არგოში“ ერთი ლეგიონერია, ოღონდ რუსია თუ მოლდოველი, ვერ გავიგე. ჩვენთან კი ხუთი ქართველია, ყოფილი ყოჩელები გიორგი ნიჟარაძე, ძმები, ჯაბა და ლაშა მალაღურაძეები, გიორგი გეგიძე და გიორგი თოდრაძე. თოდრაძე ლეგიონერად ვერ ჩაითვლება, რადგან აქაური მოქალაქეობა აქვს. სხვათა შორის, ეს ბიჭი გეხსომებათ, „ხულიგანაში“ თამაშობდა. სისწრაფის გამო მეტსახელად „პროპელერას“ ეძახდნენ. შარშანწინ საქართველოში სამხრეთაფრიკული „ბლუ-ბულზის“ ტურნეს დროს „ა“ ნაკრებშიც ითამაშა. დანარჩენ სუპერლიგელებს ლეგიონერი არ ჰყავთ, ამიტომ ჩვენ გარდა ახალ „იდეას“ ყველა ეთანხმება. უკრაინის ნაკრების მწვრთნელს ვეუბნები, ერთ თვეში საქართველოს ნაკრებთან გაქვთ თამაში, ისეთი ხალხი უნდა ათამაშო, რომლებსაც ქართველები მარტო ტელევიზიით ჰყავთ ნანახი-მეთქი?! რა ვქნა, წინაამდეგი რომ წავიდე, მომხსნიანო. ვერ გაიგეს, რომ ლეგიონერების რაოდენობა კი არ უნდა შეამცირონ, პირიქით, გაზარდონ

— თქვენი კლუბის საზიანოდ ხომ არ იღებენ ამ გადაწყვეტილებას?

— არა მგონია, უბრალოდ, მუშაობის აზრზე არ არიან, თორემ ამ ფულით ოთხ-ხუთ წელიწადში ჩემპიონატისა და ნაკრების დონე საგრძნობლად ამაღლდებოდა. არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენი წარმატებები გულზე არ ეხატებათ... მაინც ვფიქრობ, რომ არ იციან, როგორ განვითარდნენ, მენტალიტეტის ამბავია. ერთს მოგიყვებით და დასკვნა თავად გააკეთეთ. შარშან უკრაინის რვაგზის ჩემპიონ „არგოს“ ვეთამაშეთ. პირველი ტაიმი 17 ქულით მოვიგეთ, მეორე ტაიმში კი რაღაც უაზრო შეცდომა დაუშვეს ჩემებმა და მატჩი 7 ქულით წავაგეთ. ნერვიულობისგან კინაღამ ულვაში გამცვივდა, კლუბის უფროსები კი მოდიან და პირდაპირ მოედანზე არიგებენ პრემიებს. გავგიჟდი კაცი, რამე ხომ არ შეგეშალა-მეთქი. ტაბლოს გავხედე, ნაღდად წავაგეთ. ვკითხე, რა ხდებოდა. ჩვენს კლუბს ოთხი პატრონი ჰყავს და გახარებულებმა ერთად მომაძახეს, ამათ ბოლოს 45 წლის წინ მოვუგეთ, ისიც ერთობლივ შეკრებაზე. მას შემდეგ სულ 70-80 ქულით ვაგებდით, ახლა კი 7 ქულით წავაგეთო. ახლა ამათგან უნდა გავიკვირდეთ, რომ ლეგიონერების ლიმიტს კი არ ზრდიან, ამცირებენ.

— თუ ეს ლიმიტი დაწესდა, ძალიან დაგეტყობათ?

— ძალიან. ჯაბა მალაღურაძე და გიორგი ნიჟარაძე შერკინების მთავარი ძალა არიან. გიორგი გეგიძე დაცვაში მაგრად დგას, ლაშა მალაღურაძე შარშანდელი სეზონის ბომბარდირი გახდა 167 ქულით. თოდრაძე ლეგიონერად არ ითვლება, მაგრამ შარშან 16 მატჩში 17 ლელო გაიტანა. საუკეთესო მელელოვე ხომ გახდა და 85 ქულით ბომბარდირებში მესამე იყო.

— 29 აპრილს უკრაინა საქართველოს ოდესაში უმასპინძლებს. მატჩი თქვენს სტადიონზე გაიმართება.

— არა, ჩვენი ზღვისპირასაა, ოდესის ცენტრში კი ძალიან კოხტა სარაგბო სტადიონი აქვს. 10-15 ათასს იტევს. ამდენი არ მივა, მაგრამ ხუთი-რვა ათასი ქომაგი მაინც დაესწრება. ჩემპიონატის მატჩებზე ორი-სამი ათასი კაცი ყოველთვის დადის, ოჯახებით მოდიან, გოგოები ბიკინებით პირდაპირ პლაჟიდან ამოდიან სარაგბო მატჩებზე, ძალიან სახალისო საყურებელია.

**ბაჩო სვანიძე**




# სპორტის ენციკლოპედია

## მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

ეროვნული ბიბლიოთეკა





AFP მელბურნიდან



AFP მელბურნიდან

# მელბურნში ვიქტორიას აჩრდილი დადის



AFP მელბურნიდან

ეს დღეებია, მელბურნი ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებს მასპინძლობს. სამხრეთ ავსტრალიაში შეყრილან დარჩეული სპორტსმენები ყველა იმ მინისა, რომელთა პორტებშიც „იუნიონ ჯეკი" ფრიალებდა და ციხეებშიც ვიქტორიანული გარნიზონი იდგა იმისიქითა საუკუნეში. ასეთი ქვეყანა კი განა ერთი დაორია, ბარე 70 მოითვლება. ბრიტანელების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, კალათბურთსა და ფრენბურთზე მეტ პატივს ბალახის ჰოკეისა და კრიკეტს მიაგებენ, მაგრამ არც სხვა რამ სახეობები ავიწყდებათ და არც დიდრონი ვარსკვლავები აკლიათ. აგერ, 100 მეტრზე სპრინტში მსოფლიო რეკორდსმენი, იამაიკელი ასაფა პაუელიც იქაა და ოქროს მედალს დათუჩა კოალას უკნიდან გვიჩვენებს. სხვაც ბევრია ნაცნობი, მაგრამ ნუ ჩამოვთვლით. მოკლედ, ბრიტანული ოლიმპიადა ხურს მელბურნში.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge